გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№18 (913) 28 თებერვალი – 2 მარტი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ქართული წყალი საერთაშორისო ბაზარზე გავა

გვ. 5

რას მოუტანს საქართველოს აშშ-ში პრემიერ-მინისტრის პირველი ვიზიტი

ირაკლი ჩიქოვანი: „ეს იყო მკაფიო სიგნალი, რომ ამერიკა ღიად უჭერს მხარს საქართველოს"

კრის მერფი: ირაკლი ღარიბაშვილმა პრემიერად დანიშვნის დღიდან აჩვენა, რომ მტკიცედ ერთგულია საქართველოში დემოკრატიული რეფორმების განხორციელების და განსაკუთრებით, ევროატლანტიკური ინტეგრაციის. იგი ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან გამოცდილია. დარწმუნებული ვარ, მისი ხელმძღვანელობით საქართველო განაგრძობს, იყოს აშშ-ს მტკიცე პარტნიორი.

ევროპული და ამერიკული მედიის გამოძახილი

ჯონ კერი: დღეს მინდა გამოვაცხადო დამატებითი დახმარების შესახებ, რომლის ფარგლებშიც აშშ ხელს შეუწყობს საქართველოს ევროატლანტიკურ მიმართულებას — ესაა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა, ე.წ. ბორდერიზაციის ხელშეწყობის საკითხი, გამოვთქვამთ მზადყოფნას ხელი შევუწყოთ ეკონომიკის რეფორმის, ინვესტიციების და ვაჭრობის გაძლიერებას.

გვ. 9

„ბიძინა ივანიშვილის პორტრეტებს იმიტომ ვყიდი, ფული სამკურნალოდ მჭირდება"

როდის დახატა ექსპრემიერი და გაიყიდება თუ არა ქართველი მილიარდერის პორტრეტი 2000 დოლარად

თიბისი ბანკი და ლიბერთი ბანკი მომხმარებელს სასიამოვნო სიახლეს სთავაზობენ

გვ. 2

დაქანცული, მაგრამ ვალმოხდილი სახე

როსტომ ჩხეიძე

(ციკლიდან „დროის იეროგლიფები")

გვ. 8

თიბისი ბანკი და ლიბერთი ბანკი მომხმარებელს სასიამოვნო სიახლეს სთავაზობენ

თიბისი ბანკისა და ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორებმა — ვახტანგ ბუცხრიკიძემ და გიორგი არველაძემ, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

ხელშეკრულების ჭრილში მოხდა ორი ბანკის საპროცესინგო სისტემების ერთმანეთთან დაკავშირება, რაც საშუალებას აძლევს, ერთმანეთის მომხმარებლების მიერ ბარათებით და ელექტრონული ტრანზაქციები განახორციელონ საერთაშორისო საგადახდო სისტემების გარეშე. ბანკების საპროცესინგო სისტემების პირდაპირი ჩართვა საქართველოში უპრეცედენტოა და მისი საშუალებით ორივე ბანკს შესაძლებლობა მიეცა, მომხმარებლისთვის შეეთავაზებინა ბანკომატებისა და პოს ტერმინალების ბევრად ფართო ქსელი და საგრძნობლად შეემცირებინა ასეთი ქსელით სარგებლობის ტარიფები;

კერძოდ, ამ თანამშრომლობის ფარგლებში, თიბისი ბანკის მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცათ, დამატებით ისარგებლონ ლიბერთი ბანკის 340 ბანკომატით, მათთვის თიბისი ბანკის ბანკომატებიდან თანხის განაღდებისას მოქმედი ტარიფებით, ხოლო 2014 წლის 1 მარტიდან ლიბერთი ბანკის მომხმარებლებიც შეძლებენ შეღავათიანი ტარიფებით ისარგებლონ თიბისი ბანკის 260 ბანკომატით.

აღსანიშნავია ისიც, რომ გაფორმებული ხელშეკრულების ჭრილში უკვე შესაძლებელია ლიბერთი ბანკის მიერ ემიტირებული 700,000-ზე მეტი PAY (Agro ბარათი, Sმარტივი, Fortuna და ა.შ.) და Union Pay საგადახდო სისტემების ბარათებით ანგარიშსწორება და თანხის განაღდება თიბისი ბანკის პოს ტერმინალებსა და ბანკომატებში.

ბანკები, მომხმარებლისთვის მეტი კომფორტისა და უფრო დაბალი ტარიფების შეთავაზების მიზნით, თანამშრომლობას მომავალშიც გეგმავენ.

საქართველოს პრეზიდენტი სომეხ კოლეგას შეხვდა

გიორგი მარგველაშვილი ერევნის საერთაშორისო აეროპორტიდან, სომხეთის პრეზიდენტის სასახლეში გაემართა, სადაც ქვეყნის პირველი პირის ოფიციალური დახვედრის ცერემონია გაიმართა.

ცერემონიის შემდეგ საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტებს შორის შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და იმედი გამოთქვეს, რომ კეთილმეზობლური პოლიტიკა მომავალში უფრო გაღრმავდება. შეხვედრაზე ინფრასტრუქტურული პროექტებიც განიხილეს ეკონომიკური და რეგიონის უსაფრთხოების კუთხით.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ქართველ და სომეხ ერს მრავალსაუკუნოვანი კულტურა აკავშირებს, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის განვითარებაში: **„საქართველო თავისუფლების, კულტურათა შეხვედრის ადგილია, სადაც ჩვენი რეგიონის სხვადასხვა კულტურა ვითარდება და გვაძლევს ახალ მიმართულებას“**.

სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა კიდევ ერთხელ მიულოცა საქართველოს პრეზიდენტს არჩევნებში გამარჯვება და წარმატება უსურვა. პრეზიდენტმა სარქისიანმა აღნიშნა, რომ სომხეთისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს პრეზიდენტის ხედვა რეგიონში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით: **„დარწმუნებული ვარ, დღეს გველის დატვირთული და საინტერესო სამუშაო, ჩვენი ურთიერთობების დონე მუდმივად ღრმავდება. იმედი მაქვს, თქვენი ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში მისცემს ახალ ძლიერ იმპულსს ჩვენ თანამშრომლობასა და მეგობრობას“.**

ორი ქვეყნის ლიდერებმა შეხვედრა გაფართოებული შემადგენლობითაც გამართეს.

„პირველი“

ემზარ კვიციანის ჩამოსვლა გადაიდო

ემზარ კვიციანის დის, ნორა კვიციანის ინფორმაციით, ემზარ კვიციანის დოკუმენტები წესრიგში არ აღმოჩნდა, რის გამოც იგი სამშობლოში ვერ დაბრუნდა. „აეროპორტში როცა მივიდა, უთხრეს, რომ საბუთებში რაღაც არ იყო გარკვეულად, ამიტომ მისი შემოსვლა საქართველოში გადაიდო. ეს ხარვეზი უნდა შეასწორონ“, — განაცხადა ნორა კვიციანმა, თუმცა ვერ დააკონკრეტა, რა დრო შეიძლება დასჭირდეს საბუთების მოწესრიგებას.

ემზარ კვიციანი საქართველოში დაბრუნებას გეგმავს. იგი თბილისის აეროპორტში, 27 თებერვალს, 16:00 საათზე უნდა ჩამოფრენილიყო. გავრცელებული ინფორმაციით, კვიციანს სამართალდამცავები აეროპორტშივე დააკავებენ, რადგან იგი 2006 წლის ივლისის ბოლოდან სამხედრო ამბოხებისა და ტერორისტული აქტების მოწყობის ბრალდებით იძებნება.

„პირველი“



მამა გაბრიელის წმინდა ნეშტი სამებაში კიდევ რამდენიმე კვირა იქნება დასვენებული

აღნიშნული გადაწყვეტილება საპატრიარქომ მრევლის სიმრავლის გამო მიიღო და ოფიციალური განცხადებაც გაავრცელა: **„ვითვალისწინებთ რა ხალხის უდიდეს სურვილს მამა გაბრიელის ნეშტთან მიახლებისა და კიდევ იმ მდგომარეობას, რომ მრევლი რამდენიმე საათის რიგში დგომის შემდეგაც ვერ ახერხებს ეკლესიაში შესვლას, საპატრიარქომ მიიღო გადაწყვეტილება, ღირსი მამა გაბრიელ სალოსი (ურგებაძე) კიდევ რამდენიმე კვირით დატოვოს დასვენებული სამების საკათედრო ტაძარში, რათა ხალხს თავისუფლად მისვლის შესაძლებლობა ჰქონდეს“.**

მამა გაბრიელის წმინდა ნეშტი სამების საკათედრო ტაძარში 24 თებერვალს სამთავროს დედათა მონასტრიდან გადმოასვენეს.

„პირველი“

26 მაისის საქმეზე სასამართლომ ვანო მერაბიშვილი დამნაშავედ სცნო

26 მაისის საქმეზე, სასამართლომ, მერაბიშვილს თავისუფლების 4 წლით და 6 თვით აღკვეთა მიუსაჯა. გადაწყვეტილება მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ თბილისის საქალაქო სასამართლოში გამოაცხადა.

საქალაქო სასამართლომ შს ყოფილი მინისტრი დამნაშავედ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში სცნო: **„თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმის არსებითი განხილვისას საქმეში წარმოდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, ივანე მერაბიშვილი დამნაშავედ სცნო სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რამაც ფიზიკური პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ხოლო უდანაშაულოდ იქნა ცნობილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში; ივანე მერაბიშვილს სასჯელის სახედ და ზომად, 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის გამოყენებით 4 წლის და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, მასვე 1 წლის, 1 თვისა და 15 დღის ვადით თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოერთვა. საქმის არსებითი განხილვისას ივანე მერაბიშვილმა თავი არ სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განაცხადა, რომ აქციის დაშლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიღებული და აპრობირებული მეთოდით განხორციელდა. წარდგენილი ბრალდების თანახმად, ივანე მერაბიშვილმა, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, გასცა უკანონო ბრძანება 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე მიტინგის ვადის გასვლის შემდეგ, მომიტინგეთა მასობრივი დაკავებისა და ამ მიზნით რუსთაველის გამზირიდან გასასვლელი ქუჩების წინასწარ ჩაკეტვის შესახებ; ასევე, ძალის გამოყენების გაფრთხილების შემდეგ, მომიტინგეთათვის საჭირო დროის მიცემის გარეშე, მიტინგის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და მონაწილეთა დაშლის თაობაზე. მიუხედავად ობიექტური საჭიროების არარსებობისა, ივანე მერაბიშვილის მითითებით, მიტინგის მონაწილეთა მიმართ ,პოლიციის შესახებ კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ გამოყენებული იქნა სხვადასხვა სპეციალური საშუალებები: წყალსატყორცნი, ცრემლსადენი გაზი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების სპეციალური აკუსტიკური მოწყობილობა, რეზინის ტყვიები და ხელკეტები. ამასთან რუსთაველის გამზირიდან გასასვლელი ქუჩების ჩაკეტვის გამო, მომიტინგეებს შეგნებულად არ მიეცათ ტერიტორიის დატოვების საშუალება“.**

2011 წლის 26 მაისს რუსთაველზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით შს მაშინდელ მინისტრის ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გაიმართა 22 სასამართლო სხდომა, დაიკითხა ბრალდების 74 და დაცვის 9 მოწმე, გამოკვლეული იქნა წერილობითი მტკიცებულებები. აღნიშნული განაჩენის გასაჩივრება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში ერთი თვის ვადაშია შესაძლებელი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ვანო მერაბიშვილს ე.წ. ფიქტიური დასაქმებისა და კვარიათის აგარაკის მისაკუთრების საქმეზე თავისუფლების 5 წლით აღკვეთა მიუსაჯა.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატები 26 მაისის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ. ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა განაცხადა, რომ მოსამართლემ უკანონო გადაწყვეტილება გამოიტანა: **„გადაწყვეტილებას არ ვეთანხმებით. ვანო მერაბიშვილი გამართლებული იქნა პატივისა და ღირსების შელახვაში, თუმცა გამტყუნდა სხვა ბრალდებაში. ამას აუცილებლად გავასაჩივრებთ ყველა ქართულ ინსტანციაში. ეს გვჭირდება თუნდაც იმიტომ, რომ ბრძოლა სტრასბურგის სასამართლოში გავაგრძელოთ. მერაბიშვილი უკანონოდ სცნეს დამნაშავედ, რადგან ამის ფაქტობრივი გარემოებები არ არსებობს. როგორც ჩანს, სასამართლომ ზეწოლას ვერ გაუძლო“.**

მერაბიშვილისთვის განაჩენის გამოტანის შემდეგ, საქალაქო სასამართლოსთან ინციდენტი მოხდა. შენობასთან მისული ახალგაზრდები, მერაბიშვილის მომხრეები და მოწინააღმდეგეები, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. რამდენიმე მათგანი სამართალდამცავებმა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დააკავეს.

„ვერსიანიუსი“

„ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, კონკრეტულ კანდიდატს რომელ თანამდებობაზე ირჩევს“

ვახტანგ ხმალაძე თვითმმართველობის რეფორმის დეტალებს განმარტავს და ოპონენტების ბრალდებებს პასუხობს

ნინო ბერუსუდან შელია
557-100-768

საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია „ქართული ოცნების“ მიერ გაუარესებულ საარჩევნო გარემოზე აპელირებს. საერთო პოზიციაზე შეჯერება პარტიების დაფინანსების, თანაბარი სარეკლამო დროის გადანაწილებისა და ბიომეტრული სიების მიმართულებით, ვერც ინტერფრაქციული ჯგუფის ფორმატში მოხერხდა. საპარლამენტო იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე „ვერსიასთან“ საარჩევნო კოდექსში შესულ ცვლილებებს განმარტავს და ოპონენტების ბრალდებებსაც პასუხობს.

— **თვითმმართველობის რეფორმის შედეგად, შვიდ ქალაქს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიენიჭა. კანონში განისაზღვრა ისიც, რომ ეს რაოდენობა მომავალში აუცილებლად გაიზრდება. ცვლილებების მიხედვით, ყველა მუნიციპალურ ერთეულში, საკრებულოს წევრებთან ერთად, მერის თანამდებობაც არჩევითი გახდა. ადრე მერს მხოლოდ თბილისში ირჩევდნენ. აქამდე, თბილისის მერის არჩევნებში მეორე ტური მხოლოდ იმ შემთხვევაში ინიშნებოდა, თუ ყველა კანდიდატი 33%-ზე ნაკლებ ხმას მიიღებდა. ამჯერად, არჩევნებში გაიმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც ამომრჩეველთა ხმების 50%-ზე მეტს მიიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე ტური დაინიშნება, სადაც ორი საუკეთესო კანდიდატი ერთმანეთს შეეჯიბრება.**

— **50%-იან ბარიერზე მხოლოდ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივის შემდეგ დათანხმდით, მანამდე კი ოპოზიციას 40%-იანი საარჩევნო ზღვრის აუცილებლობაზე ესაუბრებოდით...**

— ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, საბოლოოდ, 50%-იანი ბარიერი მივიღეთ, რომელიც, ჩემი აზრით, ბევრად სრულყოფილი გადაწყვეტილებაა. ნებისმიერი კანონპროექტი განხილვისას სხვადასხვა სტადიას გადის. გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შესაძლოა, მხარეები შეთანხმდნენ, კომპრომისზეც წავიდნენ ან გაჯიუტდნენ და ერთმანეთს ხელებიც გადაუგრიხონ, თუმცა მთავარი ყოველთვის საბოლოო შედეგია. ასე რომ, ვინც საარჩევნო კოდექსის გაუარესებაზე საუბრობს, შევახსენებ, რომ სწორედ „ქართული ოცნების“ ინიციატივით, ერთის ნაცვლად 70-ზე მეტ მერსა და გამგებელს ავირჩევთ და საარჩევნო ბარიერიც უკვე 50%-ით განისაზღვრა.

— **რატომ ვერ მოხერხდა, 50%-იანი ბარიერი საკრებულოს წევრებისთვისაც დადგენილიყო?**

— ერთი შეხედვით, შესაძლოა, ეს უკეთესი გადაწყვეტილება ყოფილიყო, თუმცა საკრებულოში ათასზე მეტი წევრი მაჟორიტარული წესით უნდა აგვერჩია. მეტიც, თუ თუნდაც 700 ადგილზე მეორე ტურის საჭიროება გაჩნდებოდა, ამ მიმართულებით დამატებითი დრო, ფინანსური თუ ტექნიკური რესურსი უნდა დახარჯულიყო — მეტი დატვირთვა ექნებოდა მედიას, პარტიებს. დამოუკიდებელ კანდიდატებს კი დამატებითი ღონისძიებების ჩატარება მოუწევდათ. საბოლოოდ, არჩევნების შედეგების შეჯამებაც გვიან მოხდებოდა. სწორედ ამ ვითარების გათვალისწინებით, შევეცადეთ, ოპტიმალური გადაწყვეტილება მიგვეღო.

— **თქვენი ინიციატივით, მერობის კანდიდატი საკრებულოს არჩევნებში კენჭს ვეღარ იყრის. ამით „ქართული ოცნების“ კანდიდატებს საარჩევნო ველს კონკურენტებისგან ხომ არ უთავისუფლებთ?**

— ეს სწორი გადაწყვეტილებაა. მოქმედი კანონის მიხედვით, ერთ პირს მერისა და საკრებულოს არჩევნებში კენჭისყრა ერთდროულად შეეძლო. ეს კი, პრინციპულად არასწორი მიდგომაა. მე, როგორც ამომრჩეველმა, უნდა ვიცოდე, კონკრეტულ კანდიდატს, რომელ კონკრეტულ თანამდებობაზე ვირჩევ. ოპოზიცია გვეუბნება, ჩვენი პარტიის ლიდერი საარჩევნო კამპანიას როგორც საკრებულოში, ისე გამგებლებისა და მერობის არჩევნებში უნდა წარუძღვესო. მეტიც, თუ გამგებლობას ვერ შეძლებს, საკრებულოში დარჩებაო. არა მგონია, ამომრჩევლისთვის ერთი და იგივე პირი ყველა პოზიციაზე ერთნაირად მისაღები იყოს. ადამიანმა საკუთარი ადგილი წინასწარ უნდა განსაზღვროს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, მერი იქნება თუ გამგებელი და მთავარი თანამდებობის დაკავებაა. თუ პარტიას ორი კანდიდატი არ ჰყავს, რომელთაგან ერთ-ერთი მერობისთვის, მეორე კი საკრებულოში გამარჯვებისთვის იბრძოლებს, რისი იმედი უნდა ჰქონდეს არჩევნებში?

— **საკრებულოსა და მერის უფლებამოსილების განსაზღვრისას, ერთი პრობლემაც ჩნდება — თუ მერი არჩევითი იქნება, მაგრამ მისი გადაყენების უფლებას საკრებულოს მივცემთ, არჩევნების ჩატარებას რა აზრი აქვს?**

— თუ არჩეულმა მერმა საქმეში არ ივარგა, რა ვქნათ, ველოდოთ, სანამ სტრუქტურას ბოლომდე არ ჩამოშლის? თუ მერი კანონს არ არღვევს, მაგრამ არაოპტიმალურ გადაწყვეტილებებს იღებს, საკრებულოს მისი გადაყენების უფლება რატომ არ უნდა ჰქონდეს?

— **ხომ შეიძლება, მერის არჩევნებში ოპოზიციის კანდიდატმა გაიმარჯვოს, საკრებულოში უმრავლესობა კი „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვოს და სხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლის თანამდებობიდან გადაყენება სცადოს?**

— მერის თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილება საკრებულოს 2/3-მა უნდა მიიღოს, მე კი არ ვარ დარწმუნებული, „ქართულ ოცნებას“ რომელიმე საკრებულოში 2/3 ეყოლება.

— **„ქართული ოცნების“ მაღალ რეიტინგში ეჭვი გეპარებათ?**

— ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, სხვა პარტიებისთვის საკრებულოში შესვლის შესაძლებლობა მიგვეცა, მაგალითად, საკრებულოს პროპორციული ნაწილით ასარჩევ წევრთა რაოდენობა 15 ქვოტამდე გავზარდეთ. შესაბამისად, საარჩევნო ზღვარიც 6,5% გახდა. ასე რომ, პარტია რომელიც 10%-ს ვერ აგროვებს, თუმცა 6%-ს გადალახავს, საკრებულოში ერთ წარმომადგენელს შეიყვანს. ამიტომ ვამბობ, რომ საკრებულოებში „ქართული ოცნების“ 2/3-ის მოპოვების ალბათობა მცირდება. პარტიების ბიუჯეტიდან დაფინანსების ზღურბლიც დაბლა დავწიეთ.

— **ოპოზიციური პარტიები ჩივიან, რომ დაფინანსება არჩევნების შემდეგ კი არა, არჩევნებამდე სჭირდებათ.**

— საქართველოში 200-მდე პარტიაა. ბოლო საპარლამენტო არჩევნებში კი, პარტიებმა იმაზე ნაკლები ხმა მიიღეს, ვიდრე წევრი უნდა ყავდეთ. მოგეხსენებათ, პარტიის დასაფუძნებლად 1000 დელეგატია საჭირო. მაინტერესებს, ასეთმა პარტიებმა ბიუჯეტიდან, ხალხის მიერ გადახდილი გადასახადებიდან დაფინანსება რატომ უნდა მიიღონ? არჩევნები ხომ გარკვეული საკვალიფიკაციო პროცედურაა?! ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები იმასაც აცხადებენ, სარეკლამო რგოლების განთავსების კუთხით, თანაბარი წინასაარჩევნო გარემო არ იქმნებაო. ჩვენი ინიციატივით, ვინც არჩევნებზე 60 ათას ხმას მიიღებს, მას შემდეგი არჩევნებისთვის სამჯერ მეტს ანუ 180 ათას ლარს მედიაში რეკლამების განსათავსებლად გამოვუყოფთ.

— **საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კოალიციაში შემავალი პარტიები რეალურად მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ნიადაგს იმზადებთ.**

— ასეთ მოსაზრებებს ამგვარად ვუპასუხებ: არასაპარლამენტო ოპოზიცია ხომ ამბობს, ნაციონალური მოძრაობის გამოკლებით, შესაძლოა ოპოზიციურ ფლანგზე ყველა პოლიტიკური ძალა გავერთიანდეთო. ვთქვათ, ბლოკში გაერთიანება მართლაც მოახერხეს და არჩევნებშიც კარგი შედეგი მოიპოვეს, დაფინანსებას ხომ ისინი მიიღებენ?! წარმოუდგენელია, არჩევნებში სასურველი შედეგი ვერ მივიღოთ, მაგრამ ოპოზიციას უჩნდება შანსი, ყველა სიკეთით თავად ისარგებლოს. წინასწარ, გარანტირებულად დაფინანსების მიღება კი შეუძლებელია, მითუმეტეს, როცა არაფრით დაგიმსახურებია.

— **ოპოზიციის კიდევ ერთი პრეტენზია საარჩევნო ხმების დათვლის პროცესში კომისიაში წარმომადგენლის არარსებობაა. რატომ ამბობს მმართველი გუნდი არასაპარლამენტო ოპოზიციის ამ მოთხოვნაზე უარს?**

— ტყუილია. მოქმედი კანონით თითოეულ სუბიექტს, რომელიც არჩევნებში მონაწილეობს, საარჩევნო კომისიაში და უბნებზე ორ-ორი წარმომადგენლის ყოლის უფლება აქვს. უბრალოდ, მათ ერთდროულად ყოფნის შესაძლებლობა არ აქვთ — ან ერთი უნდა აკვირდებოდეს პროცესს, ან მეორე. ამ შემთხვევაშიც საუბარია იმაზე, საარჩევნო უბნებზე წარმომადგენლებისთვის ბიუჯეტიდან დაფინანსებას ვინ მიიღებს. მოქმედი კანონით, ერთ უბანზე პარტიის წარმომადგენლისთვის ასი ლარია გათვალისწინებული, რომელიც პარტიამ, შესაძლოა, ორ ადამიანს გაუყოს. სხვათა შორის, კიდევ ერთ ცვლილებას ვამზადებთ, რომლის მიხედვით, თუ ოპოზიციური პარტიები საარჩევნო ბლოკს შექმნიან, რომელშიც ორი ან ორზე მეტი კვალიფიციური სუბიექტი გაერთიანდება, უბანზე დაფინანსება 50%-ით გაეზრდებათ, ანუ ასორმოცდაათ ლარს მიიღებენ. მეტიც, თუ ბლოკის შემადგენელი პარტიების ბოლო არჩევნებში მიღებული ხმების ჯამი 3%-ს აღემატება, სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებენ.

— **რაც შეეხება სიებს, რომელიც ყოველი არჩევნების წინ სუსტ რგოლად ითვლებოდა. ადგილობრივ არჩევნებამდე ბიომეტრული სიების მოსწრება რატომ გახდა შეუძლებელი?**

— ბიომეტრული სიები ამ მოკლე პერიოდში ვერ მოესწრებოდა. საკმაოდ დიდი ჯგუფი უნდა ჩამოყალიბებულიყო, რომელიც თითოეულ მოქალაქემდე მივიდოდა. შემდეგ მონაცემებს, ავტომატურ რეჟიმში, სამოქალაქო რეესტრში გადაამოწმებდა. მათ სპეციალური გადამზადებაც ჭირდებოდათ, ამიტომ ალტერნატიული გზა შევარჩიეთ. ისე, პირველად, ბიომეტრულ სიებზე პროექტი 2002 წელს მოვამზადე, თუმცა მაშინდელმა ხელისუფლებამ მასზე უარი განაცხადა. დიახ, სიები დაბინძურებული იყო ორეულებით, თუმცა ამ მიმართულებითაც საკმაოდ დიდი წინსვლა გვაქვს. სახელმწიფომ, დაახლოებით ორასი ათას ლარად სპეციალური პროგრამა იყიდა, რომელიც სამოქალაქო რეესტრის მონაცემებში არსებულ ფოტომასალის ციფრულ ვერსიას შექმნის. ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ბაზაში თითოეული მოქალაქის ფოტოსურათი არსებობს, თუმცა ისინი სხვადასხვა დროსაა გადაღებული. ბოლო წლებში გადაღებული ფოტოები, ყველა ციფრულია, ნაწილი კი, ფირზე გადაღებული. პროგრამა თითოეულ ფოტოს დანარჩენ სურათებთან შეადარებს და ერთი და იმავე პიროვნებას ამოიცნობს. ამ მექანიზმით სია ორეულებისგან გაიწმინდება.

ვერსიანიუსი

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო



1968 წელს დაბადებული ვეფხვია მ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე ქუთაისში, ნიკიას ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 35 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ამოღებულია 2,387 გრ ნარკოტიკი, რომელიც 1,45607 გრ ჰეროინს შეიცავს. ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ ვეფხვია მ. დაკავებისას ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ნიკოლოზ ანთიძე უხელმძღვანელებს

ნიკოლოზ ანთიძემ აღნიშნულ თანამდებობაზე მერაბ ბოჭოიძე შეცვალა. 2002 წლიდან ნიკოლოზ ანთიძე ძეგლთა დაცვის სფეროში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებდა. 2011 წლის იანვრიდან დღემდე გახლდათ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი, მოგვიანებით კი, კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის უფროსად დაინიშნა. 2009-2011 წლებში ამავე სააგენტოში დაცული ტერიტორიებისა და მონიტორინგის სამსახურს ხელმძღვანელობდა. ანთიძე კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის თანაავტორია. საქართველოს კულტურული დაცვის სააგენტო, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, 2008 წელს შეიქმნა.

„პირველი“

„პრეზიდენტს ამის შესახებ აუცილებლად ვეტყვი“

როგორ მოიქცეოდა მარგველაშვილის ადგილას და რას გაუმხელს ქვეყნის პირველ პირს სოსო ჯაჭვლიანი

რუსუდან შელია
557-100-768

ამბობს, რომ ხელისუფლება საზოგადოებას სიმართლეს უმალავს, რადგან, რეალურად, საქართველო „პატრონის“ გარეშეა დარჩენილი. მხარდაჭერას ვერც საერთაშორისო პარტნიორებისგან გრძნობს და ფიქრობს, რომ მხოლოდ „შეშფოთება“ საქართველოს სასურველ შედეგამდე ვერ მიიყვანს. სოჭის ოლიმპიადის შედეგებსა და საქართველო-რუსეთის დაძაბულ პოლიტიკურ ურთიერთობებზე „ვერსიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი სოსო ჯაჭვლიანი ესაუბრა.

— სამწუხაროდ, ხელისუფლება ადამიანებს ხშირად სიმართლეს არ ეუბნება. როცა საზოგადოება ოლიმპიადაზე გამგზავრებას ქართული მხარის უთავმოყვარეობად მიიჩნევს, მაინტერესებს, საკითხს სხვა კუთხიდან რატომ არ უყურებენ. სოჭის ოლიმპიადაზე უარი რომ გვეთქვა, საქართველოს ბოიკოტს რომელიმე სხვა სახელმწიფო მხარს დაუჭერდა? სავარაუდოდ, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ შეშფოთებით შემოიფარგლებოდნენ.

— როგორც მინიმუმ, საქართველო ოკუპაციის მიმართ საკუთარ პოზიციას არ დააფიქსირებდა, სოჭის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ საქართველოში ბევრმა დასვა კითხვა — ღირდა კი ქართველი სპორტსმენების ასპარეზობის შედეგები სოჭში გამგზავრებად?

— **ეს** რა შუაშია? რა მნიშვნელობა აქვს ზამთრის სახეობებში ძლიერი სპორტსმენები გვყავს თუ არა. ოლიმპიადის დევიზი ასეთია — მთავარი გამარჯვება კი არა, მონაწილეობაა. სოჭში გამგზავრების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მთავრობისთვისაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა და პარლამენტისთვისაც, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ, საბოლოოდ, სალმა აზრმა გაიმარჯვა. ბუნებრივია, რუსეთს თავისი გეგმები აქვს, კონსტიტუციაში უწერია — თუ მეზობელი სახელმწიფოს საწინააღმდეგო ქმედებებს შენიშნავს, იქ ჯარის შეყვანა და წესრიგის დამყარება შეუძლია. სოჭში სპორტსმენები რომ არ გაგვეგზავნა, საქართველოს წინააღმდეგ მიზეზის მოძებნა რუსეთს გაუჭირდებოდა? მაგალითად, იტყოდა, საქართველოს ტერიტორიაზე ბოევიკები გადაადგილდებიან და ოლიმპიადაზეც იმ მიზნით არ წამოვიდნენ, რომ პროვოკაციებს ამზადებენო, ამ შემთხვევაში კი, არავინ დაგვიცავდა, რადგან დღეს ჩვენი „პატრონი“ არავინაა.

— რატომ ფიქრობთ, რომ დასავლეთის მხრიდან საკმარისი მხარდაჭერა არ გვაქვს?

— რა მხარდაჭერაზე ვსაუბრობთ, შეშფოთებაზე? ჩვენთვის არავინ არაფერს გააკეთებს. თანაც, ოლიმპიური თამაშები რუსეთმა კი არა, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩაატარა. ზოგი იმანაც გააღიზიანა, საქართველოს რუკა ღრუბლებით რომ იყო დაფარული.

— საქართველოს რუკის, მაინცდამაინც, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ღრუბლებით რომ იყო დაფარული, ამან არ გაგაღიზიანათ?

— ამით რუსეთმა გარკვეული „მესიჯები“ გამოგვიგზავნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს რუკის აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშე ჩვენება ნამდვილად არ გაუჭირდებოდა. იმას რატომ არავინ აღნიშნავს, რომ რუკაზე, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს აჩვენეს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობაა დაცული?! პირიქით, ვფიქრობ, ჩვენი პრეზიდენტი სოჭში რომ ჩასულიყო, კარგი ჟესტი იქნებოდა. მსგავსი წარმომადგენლობითი დელეგაცია არც ერთ ოლიმპიურ თამაშზე არ ყოფილა. სოჭში პან გი მუნიც კი იმყოფებოდა. ასე რომ, საქართველოს პრეზიდენტს ოფიციალურ დოკუმენტზე ხელი რომ მოეწერა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის წარდგენილი რუკა ჩვენი მხრიდანაც დაფიქსირებულიყო, ხელჩასაჭიდი საბუთი გვექნებოდა. პირადად მე, პრეზიდენტი რომ ვყოფილიყავი, ასე მოვიქცეოდი.

— საქართველოს პრეზიდენტს თქვენი პოზიცია გააცანით?

— არა. ისე, პრეზიდენტს ამის შესახებ აუცილებლად ვეტყვი. სამწუხაროდ, რუსეთმა, ვიღაცების ჩარევით, ყველაფერი გააკეთა, რომ საქართველოს ოფიციალური დელეგაცია სოჭში არ ჩასულიყო. მადლობა ღმერთს, ოლიმპიადაზე სპორტსმენები მაინც გაემგზავრნენ.

— დააკონკრეტეთ, რომელმა ძალამ მოახდინა ხელისუფლებაზე გავლენა რუსული სპეცსამსახურების დავალებით?

— ყველამ, ვინც სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრების წინააღმდეგი იყო. ჩანს, რუსეთმა „იჩალიჩა“, ყველაფერი სწორედ ასე მომხდარიყო და საქართველოს დელეგაციას უარი ეთქვა. მათ წინასწარ განსაზღვრეს, რომ აღნიშნული ოფიციალური საბუთი არ შემდგარიყო. ამ აზრამდე ჩემ ლოგიკას მივყავარ. ყველა ვთანხმდებით, რომ ჩვენი ტერიტორიების 20% ოკუპირებულია, მაგრამ შესარიგებლად გამზადებულებმა, პირდაპირ ჩხუბი რომ დავიწყოთ, საუბარი ხომ არ გამოგვივა?

— რუსეთის ოფიციალური პირები დიდი ხანია ამბობენ, რომ საქართველოსთან დიალოგს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ აქვს აზრი. ისინი არც იმის გამო მალავენ უკმაყოფილებას, რომ საქართველო ნატო-სკენ ისწრაფვის.

— პირველ რიგში, ახლო მეზობელთან უნდა მოვაგვაროთ ურთიერთობა, ასე ნატო-ში შესვლაც გამოგვივა და იუპიტერზე გაფრენაც. ნატო-ში შესასვლელად 200 ქვეყნის თანხმობა გვჭირდება. ვიმეორებ, მხოლოდ შეშფოთების გამოხატვა ვერაფერს გვარგებს.

„ეკო ფუდში“ შემოსავლების სამსახური პოლიტიკური მოტივით შევიდა?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რძის პროდუქტის მწარმოებელ კომპანია „ეკო ფუდს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ამოწმებს. უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, ხატია მოისწრაფიშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ საგამოძიებო სამსახურის წერილის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა, „ეკო ფუდში“ ინვენტარიზაცია განახორციელა. უახლოეს მომავალში, მონიტორინგის დეპარტამენტი, ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით, შესაბამის დასკვნას მოამზადებს, სადაც კონკრეტულად გაიწერება ყველა ის დარღვევა, რაც შემოწმების შედეგად კომპანიაში აღმოაჩინეს.

„ჯეოსელის“, „ელიტ ელექტრონიქსის“, „გრინსერვისისა“ და რამდენიმე სამშენებლო კომპანიისგან განსხვავებით, რომლებსაც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ამოწმებს, „ეკო ფუდში“ შემოსავლების სამსახური შევიდა.

არსებობს ეჭვი, რომ კომპანიას შემოსავლების სამსახური პოლიტიკური მოტივით ჩაუჯდა. „ეკო ფუდის“ დამფუძნებელი ლევან ალავიძე გურამ დონაძის დის ქმარია და არაა გამორიცხული, სხვადასხვა ტიპის ფინანსური დარღვევა მხოლოდ მედლის ერთი მხარე იყოს. სინამდვილეში, ხელისუფლება გურამ დონაძის სიძის ბიზნესით იმიტომ დაინტერესდა, რომ, „ჯეოსელის“ ყოფილი ხელმძღვანელების მსგავსად, „ეკო ფუდის“ დამფუძნებელიც ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებთან დაახლოებული პირი იყო. თუმცა, ოფიციალური ინფორმაციით, „ჯეოსელის“ მსგავსად, ყოფილი მმართველი პარტიის ანგარიშზე, წინასაარჩევნო პერიოდში, არც კომპანია „ეკო ფუდის“ ფულადი შენატანები ჩანს. „ეკო ფუდის“ დამფუძნებელი ლევან ალავიძე, ამჟამად, საქართველოში არ იმყოფება. თბილისში მისი დაბრუნებისთანავე, შევეცდებით, დეტალები უშუალოდ კომპანიის დამფუძნებელთან გავარკვიოთ.

„ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ მსხვილი ბიზნესკომპანიების მასშტაბური შემოწმება, ძირითადად, ყალბი ანგარიშფაქტურების გამოვლენის ფაქტებით, შესაძლოა, კომპანიებისთვის ერთგვარი სიგნალიც იყოს — როცა მეწარმეები ფინანსურ დოკუმენტაციას ელექტრონულად აწარმოებენ, შეუძლებელია, ისეთი დარღვევები გაიპაროს, როგორც ეს „ვარდების რევოლუციამდელ“ საქართველოში ხდებოდა. თანაც ამ ტიპის უხეშ შეცდომას მცირე ან საშუალო მეწარმე კი არა, საკმაოდ სოლიდური, მსხვილი ბიზნესკომპანიების ხელმძღვანელები უშვებენ.

რატომ გააქტიურდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური? რა საფრთხეს შეიცავს მსხვილ ბიზნესკომპანიებში ერთმანეთის მიყოლებით აღმოჩენილი, ერთი და იგივე ტიპის ფინანსური დარღვევები? არის თუ არა ეს შემოწმებები საგანგაშო ბიზნესისა და ინვესტორებისთვის და მთავარი — რას ეძებს შემოსავლების სამსახური „ეკო ფუდში“? „ვერსიას“ ეკონომიკის ექსპერტი, „ჯორჯიან ბიზნეს ინსაითის“ დირექტორი **ირაკლი ლექვინაძე** ესაუბრება.

— შესაძლოა, „ჯეოსელი“ და „ელიტ ელექტრონიქსი“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინტერესის საგანი მართლაც გამხდარიყო. „ჯეოსელთან“ მიმართებაში, წინა ხელისუფლების პირობებში, უკანონო მოსმენებსა და მაშინდელი მმართველი პარტიის მაღალჩინოსნების ინტერესებს ვგულისხმობ; „ელიტ ელექტრონიქსთან“ დაკავშირებით კი, შესაძლოა, მისი დავით კეზერაშვილთან ასოცირებული ებრაული კომპანიისთვის გადაცემა, ამ კომპანიის შემოწმების სერიოზული მოტივი იყოს.

— „ჯეოსელთან“ დაკავშირებით, უკანონო მოსმენები არაფერ შუაშია, რადგან ამ კომპანიას დიდი ოდენობით გადასახადების დამალვას ედავებიან.

— ოფიციალურად ასეა, მაგრამ, შესაძლოა, ძიების პროცესში უკანონო მოსმენების თემაც გააქტიურდეს. სხვა მოტივები, მაგალითად, ბიზნესის დაშინება ან ფართომასშტაბიანი რეიდები, არაფერ შუაშია. არც ერთი კომპანიის ხელმძღვანელისთვის არაა სასიამოვნო ამ ტიპის ხმაურიანი შემოწმება, განსაკუთრებით, დაჯარიმება, მაგრამ ფაქტია, შესაბამისი უწყებები კომპანიების ფინანსური მდგომარეობით ყოველთვის ინტერესდებიან. ზოგადად, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ძალიან ფრთხილად უნდა იყოს — არც ერთმა ასეთმა შემოწმებამ ბიზნესი არ უნდა გააჩეროს, ეს წინა ხელისუფლების საქმის გაგრძელება იქნება. ფინანსთა სამინისტროს კი, ამ მხრივ, თანაც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ძალიან ცუდი გამოცდილება აქვს. ვგულისხმობ, „ბარამბოს“ ქარხნის დაყადაღებას.

— „ეკო ფუდში“ ინვენტარიზაციას შემოსავლების სამსახური ატარებს. კომპანიას იმიტომ ხომ არ ამოწმებენ, რომ მისი დამფუძნებელი გურამ დონაძის სიძეა?

— წარსულს ჩაბარდა დრო, როცა სხვადასხვა კომპანიას პოლიტიკური მოტივით ამოწმებდნენ. კატეგორიულად გამოვრიცხავ ამას. დაუშვებელია, გააჩერო კომპანია, იმის გამო, რომლის მფლობელი სხვა პოლიტიკური პარტიის ან, თუნდაც, ძველი ხელისუფლების წარმომადგენლის მხარდამჭერი თუ ახლობელია. ჩანს, შემოსავლების სამსახურს გარკვეული ინფორმაცია აქვს, რის გამოც „ეკო ფუდის“ შემოწმება აუცილებელი გახდა. ვფიქრობ, კანონმდებლობაში ცვლილებები უნდა შევიდეს და კვების კომპანიებთან დაკავშირებით მიდგომა შეიცვალოს. დარწმუნებული ვარ, თუ შემოსავლების სამსახური მოინდომებს, „ეკო ფუდსა“ და მსგავს კომპანიებში დარღვევებს ყოველთვის აღმოაჩენს. ვგულისხმობ, ქსელიდან ვადაგასული პროდუქციის ამოღებას, განადგურებას, რაც იმის ბრალია, რომ კანონმდებლობაში გარკვეული ხარვეზებია. ამიტომ ვამბობ, თუ შემოსავლების სამსახურმა მოინდომა, ამ ტიპის კომპანიებს აუცილებლად დააჯარიმებს. მოკლედ, ამ შემოწმებაში პოლიტიკურ მოტივებს გამოვრიცხავ, მაგრამ არ ნიშნავს, რომ არგუმენტირებული ეჭვები არ უნდა არსებობდეს.

— როგორ უნდა შეიცვალოს „ეკო ფუდისა“ და მსგავსი კომპანიების მიმართ დამოკიდებულება და რა საკანონმდებლო ცვლილებების გატარებაა საჭირო?

— კომპანიებს, რომლებიც მალფუჭებად პროდუქტს ამზადებენ, ვადაგასულობის პრობლემა აქვთ. როდესაც მალფუჭებადი პროდუქცია ქსელში შედის, ვადის გასვლის შემდეგ, ეს პროდუქცია უკან უნდა გაიტანონ, მაგრამ პირდაპირ მისი განადგურება შეუძლებელია. საჭიროა შესაბამისი აქტების შედგენა, დოკუმენტაციის მომზადება. სწორედ ეს პროცესია დასალაგებელი. მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით, კომპანიებმა უნდა იაქტიურონ — მოითხოვონ, კანონში შესაბამისი ცვლილებები შევიდეს. ამ საკითხის არდარეგულირების შემთხვევაში, რძის მწარმოებელ კომპანიებს ყოველთვის შეექმნებათ პრობლემა, რის გამოც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ან სხვა უწყებები დაინტერესდებიან.

— ასეთი შემოწმებები ბიზნესს ან თუნდაც ინვესტორებს დააფრთხობს?

— არა, მსგავსი შემოწმებები ყველა ქვეყანაში ხდება და ინვესტორებმა ეს კარგად იციან. ამაში უცხო და გასაკვირი არაფერია. მთავარია, ეს მიზანმიმართული და პოლიტიკურად მოტივირებული ქმედება არ იყოს. თუ ვინმეს ასეთი ეჭვი აქვს, უმჯობესია, გამოვიდეს და ღიად თქვას — დღეს ისეთი მდგომარეობა აღარ არის, როცა ბიზნესის წართმევის მოტივით, კომპანიების მფლობელებს აპატიმრებდნენ და აშანტაჟებდნენ.

ქართული წყალი საერთაშორისო ბაზარზე გავა

საქართველოში სასმელი წყლის ჩამომსხმელი 150 მინისაწარმოში აშენდება, წლიური შემოსავალი 12 მილიარდი დოლარი იქნება, სახელმწიფო ბიუჯეტი კი 4 მილიარდი დოლარით გაიზრდება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ერთადერთი კონკურენტუნარიანი ბუნებრივი რესურსი სასმელი წყალია. ქართველი მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ პროექტზე, რომლითაც ქართულ წყალს მსოფლიო ბაზარზე გაიტანენ, საქართველო კი წყლის მიმწოდებელ დონორ ქვეყნად ჩამოყალიბდება. პროექტი, რომელსაც წელიწადში, მინიმუმ 12 მილიარდი აშშ დოლარის მოგება ექნება, ახალ, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. 2014 წლის 19 თებერვალს გამართულ მთავრობის სხდომაზე, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო დადგენილება, რომლითაც სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა. ამავე დადგენილებით, საბჭოს დებულებაც დამტკიცდა და წევრებიც განისაზღვრა. საბჭოს შემადგენლობაში შედიან საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის ავტორები, თანაავტორები, ექსპერტები, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები პაატა გიორგაძე, ბაქარ თოფურიძე, ზაურ ციხელაშვილი, ლევან მახვილაძე, გურამ სოსელია, ზაალ ჟვანია, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის გენერალური დირექტორი არჩილ ცაბუტაშვილი, საბჭოს თავმჯდომარე კი ირაკლი ღარიბაშვილი იქნება. პრემიერის ინიციატივით, უმოკლეს ვადებში, საბჭომ საქართველოს მუნიციპალურ ერთეულებში წყლის დებეტების ხელმეორე რეჟიმები უნდა გადაამოწმოს და ტოპოგრაფიულ რუკაზე გეოდეზიური წერტილები დაიტანოს. რა სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს მოუტანს ქართული სასმელი წყლის ინდუსტრია ქვეყანას? როგორ გამოვა ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსიდან და რატომაა ეს პროექტი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის? „ვერსიის“ კითხვებს საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და „ქართული წყლის“ პროექტის ავტორი პაატა გიორგაძე ექსკლუზიურად პასუხობს.

— წელიწადნახევარში, კონცეფცია-პროგრამის მიხედვით, საქართველოს მუნიციპალურ ერთეულებში, ევროსტანდარტების შესაბამისი 150 მინისაწარმო აშენდება. მუნიციპალური განვითარების დონეზე კი ხალხი დასაქმდება. ცალკეული მუნიციპალიტეტი განვითარდება და სამუშაო ადგილები შეიქმნება. „ქართული წყლის“ პროექტი სახელმწიფო პროგრამაა, რომლის მთავარი პარტნიორი საქართველოს მთავრობაა. პრემიერის პოლიტიკური ნებაა, ხალხი დასაქმდეს და რაც შეიძლება მალე, ქვეყანამ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი დაძლიოს. სახელმწიფო საბჭოს ინიციატივით, სახალხო სააქციო საზოგადოება საქართველოს წყლის ინდუსტრია შეიქმნება. ჩვენ მიერ აშენებულ მუნიციპალურ ქარხნებში ყოველწლიურად, 50 მილიონ ტონა დაფასოებულ სასმელ წყალს ჩამოასხამენ. ამ სააქციო საზოგადოებაში სახელმწიფოს წილი 51% იქნება, დანარჩენი კი, ამ კონცეფციაში მონაწილე სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გადანაწილდება. დავოსში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ „ქართული წყლის“ პროექტი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. სასმელი წყალი გაზსა და ნავთობზე ძვირფასი პროდუქტია, რადგან განახლებადი ბუნებრივი რესურსია. პრემიერის ხელშეწყობით, ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა დაიწყება, რასაც ეს პროექტიც შეუწყობს ხელს. ამ პროექტით, ფულად-მატერიალური აქტივის სახით, საქართველოს ხელისუფლებას უზარმაზარი აქტი დავუდეთ. ეს მატერიალური ფასეულობა 2 ტრილიონ დოლარზე მეტს შეადგენს. 12 მილიარდი დოლარის ინდუსტრიის ამუშავებით, ამ რესურსის მხოლოდ 25%-იან კაპიტალიზაციას ვახდენთ, რაც დღეში 26 მილიარდი ლიტრი წყლის ჩამოსხმას გულისხმობს. მსოფლიოში 7 მილიარდი მოსახლეა, რომლებსაც ყოველდღიურად 18 მილიარდი ლიტრი წყალი სჭირდებათ. შესაბამისად, ყველა პირობა გაგვაჩნია, მსოფლიო მასშტაბით, წყლის დეფიციტი შევავსოთ. რაც მთავარია, „ქართული წყლის“ პროექტი საქართველოს ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

— ამ ყველაფერს წელიწადნახევარში მოასწრებთ?

— რა თქმა უნდა. უახლოეს ერთ თვეში, საქართველოს ტოპოგრაფიულ რუკაზე გეოდეზიურ წერტილებს დავიტანთ და პროექტის განხორციელებას დავიწყებთ. თითოეულ მუნიციპალიტეტში, 2-3 ქარხნის მშენებლობას ვგეგმავთ. წელიწადნახევარში, თითო მუნიციპალიტეტში, ერთი ქარხნის აშენება მაინც მოესწრება.

— მუნიციპალიტეტებში ქარხნების აშენების შემდეგ, რაიონებში, სადაც წყალი დღესაც არ აქვთ, ეს პრობლემა აღმოიფხვრება, თუ მხოლოდ ექსპორტზე იქნებით ორიენტირებულები?

— ექსპორტი მხოლოდ იმიტომ გვინდა, რომ ქვეყანა ეკონომიკური აღმავლობის გზაზე სწრაფად გავიყვანოთ და უმოკლეს პერიოდში, სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსი დავძლიოთ. „ქართული წყლის“ პროექტს უსწრებს მაკროეკონომიკური კვლევები, რომლითაც დადგინდა, რომ სასმელი წყლის სახით, ქვეყანას უძვირფასესი მატერიალური ფასეულობა გააჩნია — საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა გახდება, ბუნებრივ სასმელ წყალს ჩამოასხამს, დააფასოებს და წყლის საერთაშორისო ბაზარზე წარმატებულ ქვეყნად გადაიქცევა. ამ ინდუსტრიის განვითარებით, როგორც გითხარით, საქართველო ყოველწლიურად 12 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალს მიიღებს. ერთ წელში, სახელმწიფო ბიუჯეტი 3-დან 4 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება, საქართველოს მასშტაბით კი სასმელი წყლის მინისაწარმოებში 100 000-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება. ინდუსტრიულ მშენებლობას სჭირდება წყლის ჩამომსხმელი, დამფასოებელი ტექნიკური პერსონალი, დამტვირთავი, ზღვის სანაპირომდე, ან რკინიგზამდე მიმტანი. რაც მთავარია, ვაპირებთ, აზიისა და ევროპის ქვეყნებში გადამზიდი ავტოპარკის შექმნას — პროექტის ძირითადი სამოქმედო არე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაა, რომელიც ახლა შეზღუდულია და მისი გამტარუნარიანიობა, მხოლოდ 54 000 000 ტონაა.

— სასმელი წყლის განახლებადი წყარო ტყეა. „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ ამ პროექტის მიხედვით, სახელმწიფომ ტყე და წყალი სტრატეგიული დანიშნულების ბუნებრივ რესურსად უნდა აღიაროს, არადა წინა ხელისუფლების პირობებში, სტრატეგიული ობიექტების ცნება გაქრა. როგორ აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას?

— სტრატეგიული ობიექტის ცნების გაქრობა დანაშაულია, რაც სახელმწიფოს კონსტიტუციურ რღვევას იწვევს. სტრატეგიული ობიექტების ცნება იმიტომ გააქრეს, რომ ბუნებრივი სიმდიდრეები უცხოელებისთვის ჩაეგდოთ ხელში. ახლა რომ ქართველ კაცს უთხრათ, საწარმოო დანიშნულების მომგებიანი აქცია იყიდეო, ვერ იყიდის, რადგან ფული არ აქვს. კახა ბენდუქიძის მინისტრობის დროს, ვის მისცეს ტყეები ხანგრძლივი, 49-წლიანი იჯარით, გახსოვთ. აშშ-ში, სხვადასხვა ობიექტების 25%-27% ჯერ კიდევ სტრატეგიული დანიშნულების სისტემაშია მოქცეული და სახელმწიფოს მართვის საგანგებო ფუნქციითაა დატვირთული. ბენდუქიძის ეკონომიკურმა იდეოლოგიამ გაანადგურა საქართველო, რომელიც რეფორმატორი კი არა, ქვეყნის მტრად შემოგზავნილი იყო. სწორედ აქ გვჭირდება სახელმწიფოებრივი მიდგომა, რომ სტრატეგიული დანიშნულების ცნება აღდგეს. უცხოური ინვესტიციების მოწინააღმდეგე კი არ ვარ, მაგრამ ჩვენი პორტები, რკინიგზა რატომ უნდა იყოს გასხვისებული? სახელმწიფოში სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები უნდა არსებობდეს და შესაბამისად, წყალი, როგორც ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსი, სტრატეგიული დანიშნულების ბუნებრივ რესურსად უნდა ვაღიაროთ. ამ პოლიტიკაში სახელმწიფოებრივი მიდგომა აუცილებელია.

— ირაკლი ღარიბაშვილი მზად არის, წყალი და ტყე სტრატეგიული დანიშნულების ბუნებრივ რესურსებად აღიაროს?

— რა თქმა უნდა, მზადაა და მხარს გვიჭერს. ტყე სახელმწიფო ზრუნვის საგნად უნდა იქცეს, რომელზეც კონსტიტუციურად უნდა დამკვიდრდეს სახელმწიფო მართვის ორგანული სისტემა. სატყეო მეურნეობა აღიარებული უნდა იყოს, როგორც სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი წამყვანი ორგანო. წყლის ბუნებრივი განახლებადობის პირობებში, 47% ტყეზე მოდის, ამის შემდეგ მდინარეები, ტბები, ჭაობები და სულ ბოლოს მყინვარებია. გლობალური დათბობის პირობებში, მყინვარები სულ რომ გაქრეს, სასმელი წყალი მაინც განახლდება, რადგან მყინვარებიდან მხოლოდ 1%, ტყიდან კი, როგორც გითხარით, 47%-ია.

— მსოფლიო ბაზარზე, წყლის ძირითადი მიმწოდებლები იტალია და საფრანგეთია, როგორ შეეგუებიან ეს ქვეყნები საქართველოს შესვლას საერთაშორისო ბაზარზე?

— საფრანგეთისა და იტალიის რესურსული პოტენციალი მცირეა. მსოფლიო ბაზარზე, ეს ქვეყნები წელიწადში, მხოლოდ 45-დღიან დეფიციტს ავსებენ. 320 დღის მანძილზე, მსოფლიო ბაზარზე შიმშლია, არადა, უხარისხო წყლის გამოყენებით, მსოფლიოში ყოველწლიურად 250 000 000 ადამიანი იღუპება. 4-5 მილიარდი ადამიანი წყლის უმკაცრესი დეფიციტის პირობებშია, ადამიანს დღე-ღამეში კი 2-2.5 ლიტრი წყალი სჭირდება, ეს რაოდენობა რომ 4 მილიარდზე გავამრავლოთ, 12 მილიარდი ლიტრი წყალი გამოდის, რაც ყოველდღიურ საჭიროებას წარმოადგენს. „ქართული წყლის“ პროექტით ისეთ ინდუსტრიას ვაშენებთ, რომლის საშუალებით, წელიწადში 50 მილიარდ ლიტრ წყალს ჩამოვასხამთ ბოთლებში, რაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 5-დღიან დეფიციტს შეავსებს. საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნილებას რომ მხოლოდ 5 დღით დავაკმაყოფილებთ, ფრანგებს და იტალიელებს როგორ შევუშლით ხელს? პირიქით, ამ ქვეყნებმა უნდა ითანამშრომლონ ჩვენთან, რათა საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ისე განვითარდეს, 3-4 წელში, სასმელი წყლის მკაცრი დეფიციტის პირობებში მიწოდების გაორმაგება უზრუნველვყოთ.

— „ქართული წყლის“ პროექტის სტრატეგიული პარტნიორები ამერიკელი ინვესტორები არიან, უკვე გადმორიცხეს პირველი ტრანში?

— ბაზრის მხოლოდ ერთ სუბიექტზე აქცენტირებულები არ ვართ. სახელმწიფო უსაფრთხოების გარანტიებით, აქცენტი სხვადასხვა ქვეყნის პარტნიორებზე ავიღეთ. ძირითადი სტრატეგიული პარტნიორი კი, ამერიკელი ინვესტორები არიან, რომლებიც ჩვენ მიერ, ყოველწლიურად ჩამოსხმულ 50 მილიონ ლიტრ წყალს საერთაშორისო ბაზარზე თვითონვე გაიტანენ. პარტნიორები აზიისა და ევროპის ბაზრების წარმომადგენლებიც არიან, რომლებიც სწორედ აზიასა და ევროპაში გაიტანენ ქართულ პროდუქციას. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით ნარმანიას ინიციატივით, „ქართული წყლის“ პროექტის სტრატეგიულ პარტნიორებთან ოფიციალური წერილები უკვე გაგზავნილია. მიმაჩნია, რომ თითოეული სტრატეგიული პარტნიორის თანამონაწილეობა სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყდეს.

ვერსიანიუსი

შსს-მ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ორი თვის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარე კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რეგისტრაციის ნებართვისა და ლიცენზიის გარეშე განხორციელებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ბრალდებით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები – ე.წ მაზავშიკები: ვასილ ლ, მამუკა კ, ბუბა ბ, ნუგზარ დ, გიორგი ჯ, გრიგოლ ლ. და ლუკა მ. თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა საშუალებით, სპორტული თამაშების შედეგებთან დაკავშირებით უკანონო ფსონებს იღებდნენ. მოთამაშეები წაგებული თანხის გადასახდელად და სოლიდური თანხების შესაგროვებლად სხვადასხვა სახის დანაშაულს, კერძოდ, ქურდობას, ძარცვას და ყაჩაღობას სჩადიოდნენ, რაც სამართალდამცავმა ორგანოებმა არაერთხელ აღკვეთეს. მოთამაშეები წაგებული ფულის სანაცვლოდ გადასცემდნენ ან ალომბარდებდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას ბინებისა და ავტომანქანების სახით. წაგებული ფულის დაგვიანების შემთხვევაში, მოთამაშეებსა და ბრალდებულებს შორის იმართებოდა სისხლიანი გარჩევები, ხოლო რიგ შემთხვევაში, ეს გარჩევები თვითმკვლელობით მთავრდებოდა. ვასილ ლ, მამუკა კ. და ბუბა ბ. წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის არიან ნასამართლევი.

გამოძიება რეგისტრაციის ნებართვისა და ლიცენზიის გარეშე განხორციელებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

გიორგი იაშვილი

რას მოუტანს პრემიერ-მინისტრის პირველი ვიზიტი აშშ-ში საქართველოს

ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილ ადამიანსაც კი გაუჭირდებოდა იმის ვარაუდი, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი წარმატებული იქნებოდა. სრული ტრიუმფი — ასე შეიძლება შეფასდეს ორი სიტყვით ის, რაც ბოლო დღეებში ამერიკაში ხდება. იმის გათვალისწინებით, რომ მუდმივად ჩასაფრებულის პოზიციაში მყოფმა საპარლამენტო ოპოზიციამაც კი ვერ გამოთქვა რეალური კრიტიკული მოსაზრებები, შეგვიძლია, ამ ვიზიტის წარმატებაზე თამამად ვისაუბროთ.

საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ პირველივე ვიზიტისას ირაკლი ღარიბაშვილი ბარაკ ობამას შეხვდა, არამედ ის, თუ როგორ მიიღეს ჩვენი პრემიერი და ის განცხადებები, რომლებიც ამ მიღების შემდეგ გაკეთდა. ამასთან ერთად, ღარიბაშვილისადმი ინტერესი დიდი იყო. მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა არჩეული ლიდერი ბევრ კითხვას ბადებდა. ისიც საინტერესო იყო, როგორ ხედავდა ქვეყნის მომავალს საგარეო ურთიერთობების კუთხით ღარიბაშვილი და რაც მთავარია, როგორ უყურებდა ქვეყნის შიდაგანვითარების გზებს.

თვით ამერიკელებიც კი გააოცა იმ თბილმა დამოკიდებულებამ, რომელიც ამერიკულმა მხარემ ქართულ დელეგაციასთან მიღების დროს გამოამჟღავნა. თეთრ სახლში მეგობრული შეხვედრისა და უშუალო საუბრის გარდა, უპრეცედენტო იყო საქართველოს დელეგაციის დახვედრის ცერემონიალი არლინგტონის სასაფლაოზე, სადაც ღარიბაშვილმა უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკო. საქართველოსა და აშშ-ს ურთიერთობების ისტორიას დახვედრის ასეთი მასშტაბური ცერემონია არ ახსოვს — 330 ჯარისკაცი, საზეიმო ზალპები, აჟღერებული საქართველოსა და აშშ-ს სახელმწიფო ჰიმნი...

პრემიერ-მინისტრმა, პრაქტიკულად, ზედა და ქვედა პალატის სრული სპექტრი მოიცვა. მას შეხვედრა ჰქონდა 12 სენატორსა და 12 კონგრესმენთან — იმ ადამიანებთან, ვინც საქართველოს საკითხით ყოველთვის ინტერესდებოდნენ და მათთანაც, ვინც მხოლოდ ახლა დაინტერესდა ჩვენ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებით. თან მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელი პარტიის წარმომადგენელი იყო ეს, რესპუბლიკელი თუ დემოკრატი, ყველა ერთნაირი ინტერესით უსმენდა და ხვდებოდა. საინტერესოა, რომ ამერიკული მხარე მხოლოდ საუბრით არ შემოიფარგლა და ბევრი რამ დოკუმენტურად გაფორმდა.

საქართველოს გააჩნია ორპარტიული მხარდაჭერა, როგორც რესპუბლიკელების, ისე დემოკრატების მხრიდან“, — ამის შესახებ განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის, კონგრესმენ ტედ პოსა და კონგრესმენ უილიამ კიტინგის ერთობლივ პრესკონფერენციაზე გაკეთდა. მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე საუბარი საქართველოს შესახებ მომზადებულ რეზოლუციას შეეხო.

„საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მხარდამჭერი რეზოლუცია“ — ასე ჰქვია დოკუმენტს, რომლის ინიცირებაც აღნიშნულ პრესკონფერენციაზე მოხდა.

რეზოლუცია გულისხმობს 2014 წლის ნატო-ს სამიტზე საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭებას. ასევე გამოიხატა მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი. კონგრესმენებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აშშ საქართველოს გვერდით დგას და მხარს უჭერს მის ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს: **„ეს არის პარტიათაშორის ურთიერთობის მაგალითი, რომლის სულისჩამდგმელები არიან რესპუბლიკელი ტეხასიდან და დემოკრატი მასაჩუსეტსიდან. ჩვენ ერთ ენაზეც კი არ ვლაპარაკობთ, მაგრამ ამ საკითხმა გაგვაერთიანა!“**

აშშ-ში ვიზიტისას, არაერთხელ აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობა მომავალზე და შედეგებზეა ორიენტირებული. საქართველოს პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს ქვეყანას და ქართველ ხალხს, რომლის ნება ევროპული არჩევანია. ამ არჩევანის შენარჩუნებას კი შეძლებს ის საზოგადოება, რომლისთვისაც პრიორიტეტი ადამიანის უფლებების დაცვაა.

,,საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ვითარების გასაუმჯობესებლად ადამიანის უფლებების კუთხით, უმცირესობათა უფლებების ჩათვლით. ხოლო, რაც შეეხება ქართულ მედიას, ის ისეთივე თავისუფალია პოლიტიკური ზეგავლენისგან, როგორც ნებისმიერ სხვა დემოკრატიულ სისტემაში“, — აღნიშნა პრემიერმა და ამის მაგალითებიც მოიყვანა.

განსაკუთრებით საინტერესოა ის წარდგინება, რომელიც ატლანტიკურ საბჭოში ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლის წინ ითქვა. **„დღეს საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის შესახებ ვაპირებთ მსჯელობას საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად. პრემიერად დანიშვნის დღიდან, მან აჩვენა, რომ მტკიცედ ერთგულია საქართველოში დემოკრატიული რეფორმების განხორციელების და განსაკუთრებით, ევროატლანტიკური ინტეგრაციის. იგი ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან გამოცდილია. დარწმუნებული ვარ, მისი ხელმძღვანელობით საქართველო განაგრძობს, იყოს აშშ-ს მტკიცე პარტნიორი. დავპირდი, რომ შეერთებული შტატები, როგორც საქართველოს ნამდვილი მეგობარი, ქვეყნის გვერდით დგომასა და მიზნების მისაღწევად ქართველი ხალხის მხარდაჭერას განაგრძობს, მათ შორის მომავალ ზაფხულს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის საკითხში“,** — განაცხადა კრის მერფიმ.

ისევ ამერიკის პრეზიდენტის მოულოდნელ გადაწყვეტილებას დავუბრუნდეთ. როგორც წესი, ბარაკ ობამას ასეთი რამ არ ახასიათებს და, როგორც საგარეო საკითხებში ექსპერტმა ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა, შემთხვევით არაფერი ხდება. მენაღარიშვილის თქმით, ვინც ოდნავ მაინც აცნობიერებს, რა მოხდა რეალურად, მიხვდება, რომ ღარიბაშვილის ვიზიტი ზეწარმატებულია. მით უმეტეს, იმ ფონზე, რაც უკრაინაში ხდება, შტატების პირველი პირის ნაბიჯი პირდაპირი მინიშნებაა იმისა, რომ არ აპირებს უარის თქმას საქართველოსთან სამომავლო თანამშრომლობაზე და არასოდეს იტყვის უარს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე.

არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო მინისტრ ჯონ კერისთან შეხვედრა. საუბრის შემდეგ მისტერ კერიმ საქართველოსთვის მორიგი დახმარების გამოყოფის შესახებ გააკეთა განცხადება და პირობა დადო, რომ გაზაფხულზე თბილისში ჩამოვა. ვარაუდი, რომ კერი გაზაფხულზე, შესაძლოა, ჩამოსულიყო აქამდეც არაერთხელ გამოითქვა. ამ მიმართულებით საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობდა, თუმცა ყოველგვარი მკითხაობისა და მარჩიელობის გარეშე, სახელმწიფო მდივანმა კონკრეტული დრო დაასახელა. რაც შეეხება დახმარებას, **ჯონ კერიმ** განაცხადა: **„დღეს მინდა გამოვაცხადო დამატებითი დახმარების შესახებ, რომლის ფარგლებშიც ამერიკის შეერთებული შტატები ხელს შეუწყობს საქართველოს ევროატლანტიკურ მიმართულებას. პირველ რიგში, ესაა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის მიმართულება და ე.წ. ბორდერიზაციის ანუ საზღვრის გავლების მიმართულებით ხელშეწყობის საკითხი. ასევე გამოვთქვამთ მზადყოფნას ხელი შევუწყოთ საქართველოს ეკონომიკური რეფორმის, ინვესტიციების და ვაჭრობის გაძლიერების განხორციელების კუთხით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობის დაცვა, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და ევროკავშირთან ინტეგრაციასაც. ეს, რა თქმა უნდა, სხვა სიმაღლეზე წამოსწევს საქართველოს რეპუტაციას. აშშ ასევე მზადყოფნას გამოთქვამს, ვაჭრობის სფეროში უფრო ძლიერი თანამშრომლობისთვის“.**

პრემიერის ვიზიტის მნიშვნელობას არც თბილისში მყოფი პოლიტიკოსები უარყოფენ.

„2014 წელი უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის როგორც ევროპული, ისე ევროატლანტიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით. მოგეხსენებთ, ჩვენ ძალიან მალე ხელს მოვაწერთ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას. ამავე დროს, უელსში დაგეგმილია ნატო-ს სამიტი, სადაც გვინდა, მაქსიმალურ პროგრესს მივაღწიოთ. არ მინდა საზოგადოებას მოლოდინი ძალიან ავუმაღლოთ, მაგრამ რეალობაზე დაფუძნებით, ჩვენ უნდა ვიაროთ წინ, პროგრესისკენ. ეს სიმპტომები უკვე არსებობს და ყველა დამეთანხმებით, რომ პრეზიდენტ ობამასა და პრემიერ ღარიბაშვილის შეხვედრა შემთხვევითი არ ყოფილა. ის ფაქტი, რომ შეხვედრა აშშ-ის პრეზიდენტთან პრემიერ ღარიბაშვილის პირველივე ვიზიტისას გაიმართა, უკვე მეტყველებს, რომ აშშ-დან საქართველოს მიმართ ინტერესი დიდია“, — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა **ვიქტორ დოლიძემ.**

სხვათა შორის, თითქოს უყურადღებოდ დარჩა ფაქტი, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის შემდეგ ამერიკაში მოლდოვას პრეზიდენტს ელოდებიან. სწორედ ამ თემაზე გააკეთა აქცენტი ექსპერტმა **ზურაბ ძარუმიძემ: „ამერიკამ ამ ნაბიჯით ღიად მიანიშნა რუსეთს, რომ არ აპირებს საქართველოსა და ზოგადად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობაზე უარის თქმას. თავის მხრივ, რუსეთი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, რეგიონში ვითარებას აკონტროლებს. სწორედ ამის გამოძახილია ის, რომ შიდა ქართლში მავთულხლართების გაბმა განახლდა“.**

პრემიერის ვიზიტის მასშტაბები საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება დაჩქარდება და, სავარაუდოდ, მას ხელიც მოეწერება. ამას გარდა, ნატო-ში საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების თაობაზე მსჯელობა სხვა კონტექსტში წარიმართება და ამერიკელი პარტნიორები უკვე პირდაპირ იტყვიან იმას, რაზეც აქამდე მინიშნებით საუბრობდნენ — საქართველო სამოქმედო გეგმის მიღებას იმსახურებს.

დასასრულ, **„მიუხედავად ამისა, ამ ორიოდე წლის განმავლობაში ბევრი ისეთი რამ მოხდა, რამაც ცინიკოსებიც კი დააფიქრა და მათ შორის, მეც. პირველი იყო თავად საქართველოში განვითარებული მოვლენები. ბევრს არ ეგონა, რომ სააკაშვილის დესპოტური ხელისუფლების პირობებში ასე უპრობლემოდ ჩაივლიდა ქართული ოცნების კოალიციისთვის ძალაუფლების გადაცემის პროცესი. კიდევ უფრო ცოტას სჯეროდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ის, ვინც დაგეგმა ეს ცვლილებები, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკას დატოვებდა და მართვის სადავეებს ახალგაზრდა თაობას ჩააბარებდა. მიუხედავად ამისა, ეს ყველაფერი მართლაც ასე მოხდა და ამაში წვლილი მიუძღვის ყველას, ვისაც რამე კავშირი ჰქონდა ამ მოვლენებთან, მათ შორის, სააკაშვილსა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.**

ბოლო ორი წლის განმავლობაში, ქართული პოლიტიკური ელიტა საგრძნობლად მომწიფდა, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებაში გაჩნდა პოლიტიკოსების მიმართ ანგარიშვალდებულების მოთხოვნა ურთულეს სიტუაციებშიც კი. მათ, ვინც ბოლო ორი ათწლეული თვალს ადევნებდა ქართულ პოლიტიკას და ხშირად სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა პოლიტიკოსების წარუმატებლობის გამო, ეს ბოლო ორი წელი სასიამოვნო მოულოდნელობად ექცათ. დღეს ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნისთვის საქართველო სამაგალითოც კია ზოგიერთ საკითხში. ბევრი პრობლემა რჩება მმართველობისა და დემოკრატიული პროცესების კუთხით, მაგრამ საქართველოს ახლა უდიდესი გამოწვევა აქვს ეკონომიკის მიმართულებით და ეს არის ის, რაზეც ახალი მთავრობა აკეთებს აქცენტს.

საერთაშორისო სფეროში და განსაკუთრებით ევრაზიის მოვლენებთან დაკავშირებით, ბევრი რამ საგრძნობლად შეიცვალა. გასულ წელს დიდებისა და ძალაუფლების მოყვარულმა რუსეთმა, კიდევ ერთხელ გამოიჩინა ზედმეტი ,,გულმოდგინება“ და ეს არ არის პირველი შემთხვევა. 2013 წელს რუსეთის მცდელობა, რომ ჩაეშალა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სტრატეგია და ჩაეკლა ზოგიერთი საბჭოთა ქვეყნების ევროკავშირთან მიახლოების სურვილი, ახლა აშკარად ჩაიშალა. უკრაინელმა ხალხმა საკუთარი სისხლის ფასად ჩაშალა რუსეთის მზაკვრული გეგმები. როგორც ჩანს, რუსეთის ერთადერთი ძვირადღირებული და არათანამიმდევრული პოლიტიკის მონაპოვარი მხოლოდ სომხეთი თუ იქნება. უკრაინაში კიდევ კარგა ხანს იქნება არასტაბილური ვითარება, დასავლეთი კი, არ უნდა შეეცადოს პროცესების დაჩქარებას. უკრაინელებმა თავად უნდა შეძლონ და პოლიტიკური პროცესები ახალ საფეხურზე აიყვანონ, როგორც ეს ქართველებმა მოახერხეს“, — ეს ამონარიდია იმ სტატიიდან, რომელიც ევროპული გამოცემა commonspace.eu-მ გამოაქვეყნა სათაურით — **„დროა, ევროპამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ძალისხმევა არ დაიშურონ საქართველოს მხარდასაჭერად“.**

ირაკლი ჩიქოვანი: „ეს იყო მკაფიო სიგნალი, რომ ამერიკა ღიად უჭერს მხარს საქართველოს“

გიორგი იაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით ქართული დელეგაციის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის შეფასება, საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, ირაკლი ჩიქოვანს ვთხოვეთ.

— ბატონო ირაკლი, ობამასთან შეხვედრით დავიწყოთ. ელოდით, რომ ამერიკის პრეზიდენტი პირველივე ვიზიტისას შეხვდებოდა საქართველოს პრემიერს?

— ის, რომ ჩვენი ხელისუფლება ჯო ბაიდენის მიწვევით იმყოფებოდა შტატებში, უკვე მრავლისმეტყველია. ასეთი შეხვედრები შემთხვევით არ ხდება და მოლოდინი, რომ ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების შემდეგ, ობამა გამოთქვამდა შეხვედრის სურვილს, აშკარად, იყო. მოლოდინი გამართლდა და მივიღეთ ის, რომ ამერიკის პრეზიდენტმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მეგობრულ გარემოში ისაუბრეს. ეს იყო პირდაპირი მესიჯი, რომ ამერიკა აპირებს, უფრო გააღრმავოს არსებული ურთიერთობები და საქართველოს განიხილავს. როგორც რეალურ და თანასწორ პარტნიორს.

— იყო თუ არა ეს მინიშნება იმაზე, რომ ამერიკა მხარს დაგვიჭერს ევროინტეგრაციასა და ნატო-ში საქართველოს მომავალ პერსპექტივებზე?

— ეს არ იყო მინიშნება, ეს იყო მკაფიო სიგნალი, რომ ამერიკა ღიად უჭერს მხარს საქართველოს და მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, როგორც ევროკავშირში ჩვენს ინტეგრაციას, ისე ნატო-სგან სამოქმედო გეგმის მიღებას დაჩქარებული წესით მოითხოვს. მზად ვართ ამისთვის და სწორედ ამაში სურდათ დარწმუნება ამერიკელებს. ყველა აღიარებს, რომ საქართველოს საგარეო კურსი ამერიკისა და ევროპისკენაა მიმართული და პრემიერის განცხადებაც, რომ სურს საქართველო ნამდვილ, ევროპულ ქვეყნად აქციოს, ყველამ მოისმინა.

— პარალელურად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაზაფხულზე საქართველოში ამერიკის სახელმწიფო მდივანი, ჯონ ქერი ჩამოვა...

— როცა საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ ქერის ვიზიტს ამზადებდა, ოპონენტებმა აღნიშნეს, რომ ეს რთული იქნებოდა. ახლა კი ქერიმ თავად დაადასტურა საქართველოში ჩამოსვლის სურვილი და კონკრეტული თარიღიც დაასახელა. ეს ვიზიტი კიდევ ერთი დადასტურება იქნება, რომ ამერიკა და საქართველო სტრატეგიულად პარტნიორი ქვეყნები არიან. შეუძლებელია, არ აღინიშნოს, რომ ქერიმ პირდაპირ მოუწოდა რუსეთს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესრულება. ამერიკელებმა ისიც დაინახეს, რომ ჩვენი ხელისუფლება არ ცდილობს რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვას და ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას, მხოლოდ მოლაპარაკებების გზით აპირებს. ამას მოითხოვენ ჩვენგან ევროპელი პარტნიორები და ამას ითხოვს ამერიკაც. შეხვედრისას ღარიბაშვილმა პირდაპირ განაცხადა, რომ უმთავრესი მიზანი ნატო-ში გაწევრიანებაა.

— არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ატლანტიკურ საბჭოში ღარიბაშვილის გამოსვლა...

— გამოსვლამდე ძალიან საინტერესო იყო, თუ როგორ წარადგინეს ღარიბაშვილი. პრემიერად დანიშვნის დღიდან, მან აჩვენა, რომ იგი საქართველოში დემოკრატიული რეფორმების განხორციელების და განსაკუთრებით, ევროატლანტიკური ინტეგრაციის ერთგულია. ის ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან გამოცდილია. დარწმუნებული ვარ, მისი ხელმძღვანელობით, საქართველო განაგრძობს, იყოს აშშ-ის მტკიცე პარტნიორი. „მე მას დავპირდი, რომ შეერთებული შტატები, როგორც საქართველოს ნამდვილი მეგობარი, ქვეყნის გვერდით დგომას და მიზნების მისაღწევად ქართველი ხალხის მხარდაჭერას განაგრძობს, მათ შორის მომავალ ზაფხულს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის საკითხში“, — ეს ჩემი სიტყვები არ არის, ეს კრის მერფიმ თქვა.

— რას უნდა ველოდეთ ამ შეხვედრიდან უახლოეს მომავალში?

— 2014 წლის ნატო-ს სამიტზე, როგორც არასოდეს, ისე დიდი იქნება შანსი იმისა, რომ სამოქმედო გეგმა, ანუ მაპ-ი მოგვცენ. უნდა დაჩქარდეს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების თემაც და უნდა მოახლოვდეს დრო, როცა ევროპაში უვიზო მიმოსვლა ყველასთვის შესაძლებელი იქნება. ფაქტია, ამერიკამ მსოფლიოს დაანახა, რომ ჩვენი ხელისუფლება სწორ გზას ადგას. აშშ-ში ვიზიტისას, არაერთხელ აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობა მომავალზე და შედეგებზეა ორიენტირებული. ირაკლი ღარიბაშვილი წარმოადგენს ქართველ ხალხს. იმ ხალხს, რომლის უმთავრესი ნაწილის ნება, ევროპული არჩევანია.

„უკრაინის დრამის ფონზე ობამა საქართველოს ლიდერს ხვდება“

ევროპული და ამერიკული მედიის გამოძახილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტს ევროპული თუ ამერიკული მედია ეხმაურება. ყველა გამოცემა აღნიშნავს, რომ ეს იყო ძალიან წარმატებული და უპრეცედენტო ვიზიტიც კი, რადგან არავინ ელოდა, რომ პირველივე ვიზიტისას საქართველოს ლიდერს ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა შეხვდებოდა. შეხვედრა შედგა და შედგა ძალიან მეგობრულ გარემოში, რასაც ხაზი უცხოურმა პრესამ განსაკუთრებულად გაუსვა. გამოცემა thecable.foreignpolicy.com-მა საქართველოს პრემიერს განსაკუთრებული სტატია მიუძღვნა. გამოცემა წერს, რომ 31 წლის პრემიერი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა მისი სამშობლო საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ღარიბი რესპუბლიკა გახლდათ. ღარიბაშვილმა საკუთარ თავზე გამოსცადა სიდუხჭირე, უშუქობა, უგზობა, გარდამავალი პერიოდი, ომები და ერთი შეხედვით ის ეკუქცევადი ვარდნა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა განიცდიდა. ახლა კი, როცა ვითარება შეიცვალა და ღარიბაშვილი ქვეყნის სათავეშია, არ მალავს, რომ საქართველოს გადაქცევა რეალურ თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოდ სურს და ეს მაშინ როცა, მეზობელი რუსეთი ჯიუტად არ თმობს პოზიციებს და საქართველოს ოკუპაციას განაგრძობს. გამოცემა იმ გეგმებზე აკეთებს აქცენტს, რომლითაც ღარიბაშვილი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას აპირებს.

„იმედი მაქვს, ქვეყნის მზარდი ინტეგრაცია ევროპაში ნელ-ნელა დაარწმუნებს „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის მცხოვრებლებს, რომ საქართველოსთან ერთად ყოფნა მათ ინტერესებში შედის. თბილისი აგვისტოში ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას გეგმავს, რაც საქართველოს ევროკავშირთან დააახლოებს. ვვარაუდობ, რომ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ მოგზაურობას, ევროპასთან ვაჭრობის გაღრმავება კი ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ ზრდას. განდგომილი რეგიონების მცხოვრებლები დაინახავენ განსხვავებას ცხოვრების სტანდარტებში და საქართველოსთან ყოფნა მოუნდებათ“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

გამოცემა Commonspace.eu-ში დაბეჭდილი სტატიის ავტორი პირდაპირ მიანიშნებს, რომ **„ახლა საუკეთესო დროა, დღის წესრიგში დადგეს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი. არასოდეს მგონებია, რომ ნატო-ს წევრობა პანაცეაა — ზოგიერთი ქვეყნისთვის კარგიც კია გვერდზე გადგომა. თუმცა, ქართველმა ხალხმა უკვე მიიღო ეს გადაწყვეტილება — ისინი ერთსულოვანნი არიან გაწევრიანების საკითხში და, ამჟამად, ამ საკითხის გადადება გაუმართლებელია“.**

სტატიის ავტორის აზრით, ეს გააღიზიანებს რუსეთს და სწორედ ამიტომაც არ უნდა გადაიდოს ეს საკითხი. რუსეთს რატომღაც აქვს ვეტოს უფლება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში განვითარებულ მოვლენებზე და ეს უკვე დიდი ხანია ასეა, რაც თავისთავად იწვევს ქვეყნების არასტაბილურობასა და დაუცველობას...

გამოცემა thehill.com-ის ვარაუდით კი, ამერიკელმა კონგრესმენებმა და სენატორებმა საქართველოს ლიდერთან ერთად ერთგვარი ზეწოლა მოახდინეს ნატოზე და ალიანსის წევრები როგორც არასოდეს, ისე მიუდგებიან ქართული მხარისთვის მაპ-ის მინიჭების საკითხს. საქართველოს ნატოში ინტეგრაცია, მხოლოდ და მხოლოდ, საკუთარი უსაფრთხოებისთვის სჭირდება და ამას არც ღარიბაშვილი მალავს.

„მოგიწოდებთ მხარდაჭერისთვის არა იმიტომ, რომ შინაგანად გაორებული ვართ ან ვმერყეობთ ჩვენს მიზნებსა და მისწრაფებებში, არამედ იმიტომ, წინ აღვუდგეთ გარე ზეწოლას, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს და ცდილობს, გაანადგუროს ის მიღწევები, რომლებიც თავისუფალმა მსოფლიომ შექმნა ჩვენ რეგიონში საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ“, — განაცხადა პრემიერმა.

საინტერესო სათაურით გამოვიდა Blogs.wsj.com, სტატია სათაურით „უკრაინის დრამის ფონზე ობამა საქართველოს ლიდერს ხვდება“, მრავლისმეტყველია. ის, რაც თითქოს შეფარვით ჩანდა, ამ გამოცემამ საჯარო გახადა — ობამას სურვილი, შეხვედროდა ღარიბაშვილს, პირდაპირი მინიშნებაა რუსეთისთვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ურს არ ამბობს საქართველოზე და არ აპირებს არსებული თანამშრომლობის გაწყვეტას. პირიქით, დაპირებები მომავალ თანამშრომლობაზე, როგორც არასდროს, ისე იმედისმომცემია. საუბარი არამარტო ფულად დახმარებაზეა. ამერიკა საქართველოს დაეხმარება, როგორც თანხით, ასევე ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებასა და ნატო-ში მაპ-ის მიღების საკითხში. თავის მხრივ, ქართული მხარე ღიად ადასტურებს, რომ ალიანსის მიერ განხორციელებულ სამშვიდობო მისიებში კვლავ მიიღებს მონაწილეობას. საუბარი კონკრეტულ თანხებზეც იყო, თუმცა საქართველო იმაზე მეტს უნდა ელოდეს, ვიდრე ეს შეხვედრაზე ითქვა...

ასეთი გამოხმაურება ქართული დელეგაციის ვიზიტს ამერიკაში არასოდეს ჰქონია და თუ აქამდე მხოლოდ ჩვენ მივდიოდით იმედიანად, ახლა აქეთ გვეუბნებიან, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების იმედი აქვთ და მათთან მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავენ.

დაქანცული, მაგრამ ვალმოხდილი სახე

(ციკლიდან „დროის იეროგლიფები“)

როსტომ ჩხეიძე

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ახალი გადმოსვენებულია ლევილიდან მთაწმინდის პანთეონში და მარჯანიშვილის თეატრშიც „ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ რიგითი წარმოდგენაა, არადა დარბაზი ისეა გადაჭედილი, თითქოს პრემიერა ყოფილიყოს.

ეს იმ მხრივაც აღვივებს აქ შემთხვევით მოხვედრილი ადამიანის ვარაუდს, პრემიერა ხომ არ არისო, რომ ტელეჟურნალისტთა სიმრავლეა — თითქმის ყველა სატელევიზიო არხს მოუვლენია აქ თავისი წარმომადგენლები. რაკიღა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის გადმოსვენება ლევილის სასაფლაოდან მთაწმინდაზე ხელისუფლების თავგამოდებით მოხდა, ნაციონალურმა მოძრაობამ ამავე პროპაგანდისტული მიზნით დაისაჭიროვა, რომ მასზე სპექტაკლის დადგმასაც შეწეოდა, შესანიშნავი სპექტაკლის, რაც მართალია, მართალია; მაგრამ, რასაკვირველია, ტელევიზიები არაფრისდიდებით არ მიაწყდებოდნენ მისი მხატვრული ღირსებების გულისათვის.

თუმც... მგონი ვაჭარბებ და ჩინებულადაც უნდა ერკვეოდნენ ამ სპექტაკლის რაობაში, რადგანაც ყოველმა მათგანმა დაბეჯითებით ამოიცნო ამდენ ხალხში ის ადამიანი, ვინც, მათი მტკიცე რწმენით, ყველაზე უკეთ შეაფასებდა საქართველოს ეროვნული გმირის ღვაწლსაც და მისადმი მიძღვნილი თეატრალური დადგმის მნიშვნელობასაც.

ეს ის დროა, როდესაც ხელისუფლებას ოპოზიციონერთაგან არავინ მიაჩნია სახიფათო კონკურენტად და ამ სპექტაკლზე დასწრებაც ამიტომაა ნებადართული. ასე რომ, ვინ იცის, „ქართული ოცნების“ მომავალ წევრთაგან რამდენმა იხილა გურამ ქართველიშვილისა და ლევან წულაძის ეს შთამბეჭდავი ნამუშაკევი... თორემ მალე აკი ისიც მოხდებოდა, ნაციონალური მოძრაობა „ქართულ ოცნებას“ დიდგორობაზე რომ არ მიუშვებდა — პოლიციის კორდონებს დაახვედრებდნენ: ჩვენ აქ პირველები მოვედით და სხვას აღარავის აქვს უფლება დავით აღმაშენებლისა და მისი ლაშქრის ლანდები შეაწუხოსო!..

წყალგაუვალი მოტივი და არგუმენტი გახლდათ და... სხვა რაღა დაგრჩენოდა, პირში ჩალაგამოვლებული უნდა გამობრუნებულიყავი იმის იმედით: ვისაც გული გვერჩის, ყოველთვისაც შეიძლება დიდგორის ველს ამოვაკითხოთო...

თუმც აქ ეს რა მოსატანია — ამ წუთას გულს ხომ ის გვიხარებს, რომ ყველა ტელეჟურნალისტმა დაბეჯითებით ამოიცნო ამდენ ხალხში ის ადამიანი, ვისაც... მას ხოლოსა ძალუძდა...

აგერ — მათდა ბედად — დარბაზში იმყოფება გაგუბერნატორებული პარლამენტარი, რომლის წარდგენასაც თუ რომელიმე მკითხველი მოითხოვს, უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდებს თავს. დიახ — თვით იგი!.. მოსულა, რათა სრულყოფილად შეიგრძნოს სპექტაკლის ხიბლი და ძალმოსილება და ემზადება შესაფერისი განწყობილების შესაქმნელად, რათა ერთიანად გადაეშვას წინა საუკუნის 20-იანი წლების ჰეროიკულ-ტრაგიკულ მოვლენებში.

მაგრამ ვინ აცლის!..

ჯერ ერთმა ტელეჟურნალისტმა უნდა მიაკითხოს ინტერვიუსათვის და ფოიეში გაიყვანოს.

მერე მეორემ.

მესამემ შემდეგ.

და მეოთხე და მეხუთეც რომ მიადგებოდნენ, მგონი უკვე სათვალავიც ამერეოდა და მექანიკურადღა აღვიქვამდი მის გასვლა-შემოსვლას, სულ უფრო და უფრო რომ გადასდიოდა შუბლზე ხვითქი და ცხვირსახოცი ველარ აუდიოდა.

არადა, რა ეღონა — ამხელა ვალი დაჰკისრებოდა ამჯერადაც, საგანმანათლებლო როლი უნდა შეესრულებინა და მიეწოდებინა უტყუარი და გულშიჩამწვდომი ცნობები ხალხისათვის თითქმის ყველა ცისფერი ეკრანიდან.

მოვალეობის აღსრულება დამქანცველია, მაგრამ, იმავდროულად, შვებისმომგვრელიც. და მერე როგორ!..

და ამიტომაც არ მავიწყდება ბატონი გუბერნატორის დაღლილი, შეღონებული, მაგრამ მაინც ბედნიერების შუქით გადაცისკროვნებული სახე, ბოლოჯერ რომ მიუახლოვდებოდ სკამს და შიგ ჩაეფლობოდა ვალმოხდილი.

დამეჯერება, რადგანაც სულ ახლოდან მაქვს ნანახი — სწორედ ჩემს წინ შეხვედროდა ბილეთი — და სხვა რა გზა მქონდა, მარტოდენ თვალი უნდა მედევნებინა გუბერნატორის გაბეზრებისათვის და ვერაფრით შევშველებოდი. ჩემსავით, ვინ იცის, გარშემო რამდენი მაყურებელი აფორიაქდა და გულმაც გაუწია საშველად. მიუხედავად იმისა, რომ მჭევრმეტყველებაში ვერ გავეჯიბრებოდით, ეგებ სულის მოთქმაში შევხიდებოდით...

თუმც... ვალმოხდილის სახე?!.

ერთი ჟურნალისტიც რომ გამოკლებოდა მსურველთა რიგსა და ჯარს, ვალმოხდილის შეგნებასაც ხომ რაღაც ჩაჩხვლეტდა უსიამოვნოდ!..

სრულყოფილებას განა რაიმე სჯობს?!.

***

მაინც რა უცნაურად დატრიალდება ხოლმე წუთისოფელი, ტრაგედიასა თუ დრამასთან ერთად ფარსსა და კომედიასაც ისე უხვად გთავაზობს და ისეთი თვალისმომჭრელი ეფექტურობით, რომელი თეატრალური დადგმა შეედრება.

ნაციონალურად თვითგამოცხადებულ ხელისუფლებას, ყოველგვარი წესითა და კანონით, ბოლშევიკური მთავრობის წევრთა წამოწევა-განდიდებაზე უნდა ეზრუნა, ქართულ ეროვნულ ტრადიციებსა და ეკლესიას ვინც დაერეოდნენ უცხო სახელმწიფოს შემწეობით ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე, და კერძო საკუთრებასაც აღარ შეარჩენდნენ ადამიანს, რათა მათ არავითარი დასაყრდენი აღარ ჰქონოდათ... დიახ, მათთვის და არა ქაქუცა ჩოლოყაშვილისათვის, ვინც თავგადაკლული იბრძოდა ამ ყოველივეს გადასარჩენად და საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს ამოსაგებად და ასე შემორჩებოდა ჩვენს ეროვნულ ცნობიერებასა და ახალ ქართლის ცხოვრებას — გმირად და იდეალად.

მაგრამ აკი ბოლშევიკურ-კომუნისტურ ხელისუფლებასაც, ყოველგვარი წესითა და კანონით, ბოლომდე უნდა შეენარჩუნებინა დაუნდობლობა ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი და მისი სახელის სრული აღმოფხვრა ეცადა... ძეგლი კი არ უნდა დაედგა მისთვის!.. და საძეგლოდ არც აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა თუ ალექსანდრე ყაზბეგი გამეტებოდათ!..

ანდა ყველაზე ფანტასტიკურ სიზმარშიც თუ მოელანდებოდა ვინმეს, რომ ზვიად გამსახურდიას მემორიალი ზუგდიდში... ჯუმბერ პატიაშვილის მონდომებით დაიდგმოდა?!.

თუმც... აკი წუთისოფელიო... ფარსიო... კომედიაო...

სიტყვა რომ გაგიტაცებს ადამიანს, თორემ ეს ამდენი დავიდარაბა რა საჭირო იყო, მე ხომ იმას და მხოლოდ იმას ვლამობდი, რომ მზერიდან არ დამკარგვოდა ვალმოხდილის შეგნებით განათებული, მერე რა, რომ დაქანცული სახე... და ჩემი გულნაკლულობაც დამერთო, რომ თვალი ველარ მივადევნე ტელეჟურნალისტთა იმწუთიერ მონაპოვარს, როგორ გარდაისახა ეს ყოველივე ცისფერ ეკრანებზე, თუმც დაჯერებით მჯერა, რომ ფერი იქნებოდა ფერსა და... მადლი კი ღმერთსა!..

ვერსიანიუსი

„სამშობლოს დაცვას ყოველთვის მცირერიცხოვანი გმირების ბრძოლის შედეგად ვახერხებდით“

25 თებერვალს, საბჭოთა ოკუპაციის დღეს, სახელმწიფო დროშები დაუშვეს ყველა სახელმწიფო უწყების შენობებზე. ხელისუფლების წარმომადგენლებმა, დაღუპული იუნკერები გაიხსენეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს. საქართველოს პრეზიდენტმა, 1921 წლის თებერვალში, კოჯრის მახლობლად გმირულად დაღუპული იუნკერების მემორიალი გვირგვინით შეამკო. **„დღეს აქ მოვედით, რათა კიდევ ერთხელ მწუხარებით და, ამავდროულად, სიამაყით აღვნიშნოთ, თუ როგორ იბრძოდა ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობისთვის. საქართველოს ისტორიაში ცოტა თუა ცნობილი ისეთი ომი, სადაც ქართველი ჯარისკაცების რაოდენობა მტერზე მეტი იყო ან მას უტოლდებოდა. სამშობლოს დაცვას ყოველთვის მცირერიცხოვანი გმირების ბრძოლის შედეგად ვახერხებდით. ბუნებრივია, მათ მაგალითზე გვეძლევა მხნეობაცა და უნარიც, მუდმივად დავიცვათ ჩვენი პატარა ქვეყანა ძლიერი იმპერიებისა და აგრესორებისგან, რომლებიც, ისტორიულად, მუდმივად გვიტევდნენ, მაგრამ ვერასოდეს გაგვტეხეს“,** – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. ქვეყნის პირველ პირთან ერთად, იუნკერების ხსოვნას პატივი მიაგეს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინე იმერლიშვილმა და გენერალური შტაბის უფროსმა ვახტანგ კაპანაძემ.

იუნკერები გაიხსენეს თავდაცვის სამინისტროშიც. გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ და თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვაკო ავალიანმა სამინისტროს ტერიტორიაზე აღმართული ქვაჯვარი გვირგვინით შეამკეს. სტელასთან საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარმა კაპელანმა, დეკანოზმა დავითმა დაღუპული იუნკერების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. ქვაჯვარი თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიაზე მდებარე მთავარანგელოზთა დასის სახელობის ტაძართანაა აღმართული. სტელაზე 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის წითელი არმიის მიერ ტაძრის ჩრდილოეთის კედელთან დახვრეტილი 6 იუნკერისა და მაშინდელი დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრის სახელები და გვარებია ამოტვიფრული.

პანაშვიდის შემდეგ, შეიარაღებული ძალების მთავარმა სამხედრო მოძღვარმა ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერები დალოცა. მოგვიანებით, თავდაცვის სამინისტროს შემეცნებითი-საგანმანათლებლო ცენტრში უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის მსმენელებმა სპექტაკლი წარმოადგინეს — „სამშობლოს გმირები სჭირდება“ და დადგმა 1921 წელს დაღუპული იუნკერების ხსოვნას მიუძღვნეს. ცენტრში იუნკერების მიერ შესრულებული ნახატების გამოფენაც მოეწყო.

„ვერსიანიუსი“

გოგი ჭიჭინაძის პროტესტი

რატომ გადადგა თანამდებობიდან ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რა დაპირება არ შეუსრულა გიორგი მარგველაშვილმა

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

გოგი ჭიჭინაძემ კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ მიმართა, მიზეზად კი იმ ჩვიდმეტმილიონიანი პროექტის ჩაშლა დაასახელა, რომლის განხორციელების შემთხვევაში, მისი თქმით, ქუთაისი საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად გადაიქცეოდა. თეატრის დასი აპროტესტებს ამ გადაწყვეტილებას და აქციებით იმუქრება. „ვერსია“ გთავაზობთ ინტერვიუს გოგი ჭიჭინაძესთან.

— ბატონო გოგი, კიდევ რით იყო გამორჩეული პროექტი, რომელიც თქვენი შეფასებით, უცხოეთში მოღვაწე ქართველებს სამშობლოში დაბრუნების საშუალებას მისცემდა და ახალი თაობისთვისაც არ გახდიდა აუცილებელს, საზღვარგარეთ გადახვეწილიყვნენ?

— ამ პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ორკესტრის შესავსებად საერთაშორისო კონკურსის გამოცხადება. ეს მიღებულია ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში: მაგალითად, შეგიძლია ბერლინიდან ესპანეთში გახვიდე კონკურსზე და გამარჯვების შემთხვევაში, სამუშაოდ იქვე დარჩე. ჩვენ ქვეყანაში ჩამოსული პროფესიონალები, კონტრაქტის საფუძველზე, მომენტალურად დაიწყებდნენ ადგილობრივ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ქუთაისში ექვსი მუსიკალური სკოლა, თერთმეტწლედი და კოლეჯია. რამდენიმე წელიწადში, მუსიკალურ სფეროში მივიღებდით კადრების ძლიერ ნაკადს, რომელიც საქართველოში ყველა ორკესტრს შეავსებდა, აწყობილ თეატრში კი, მომღერლებიც სიამოვნებით ჩამოვიდოდნენ, გავაფორმებდით ხელშეკრულებებს. პარალელურად, ისინი აქვე ბინას იქირავებდნენ, დახარჯავდნენ ფულს ანუ თანხა, რითიც დაგვაფინანსებდნენ, ქალაქს დაუბრუნდებოდა. ეს გახლავთ ფართომასშტაბიანი, პროფესიულად გამართული პროექტი, რომელზეც ჩემთან და დირიჟორ ზაზა აზმაიფარაშვილთან ერთად, ეკონომისტები და ფინანსისტები მუშაობდნენ. ჩვენი ჩანაფიქრი არამარტო ქუთაისის საოპერო თეატრს, არამედ, საქართველოს კულტურულ-მუსიკალურ ცხოვრებას განავითარებდა და მისი განხორციელების შემთხვევაში, მინიმალური დანახარჯით მივიღებდით კოლოსალურ შედეგებს. თანხა, რომელსაც შეგვპირდნენ, არის გერმანიის ყველაზე პატარა ქალაქის ოპერის თეატრის ბიუჯეტზე 5-ჯერ ნაკლები. თავის დროზე, შეხვედრა გვქონდა პრეზიდენტობის მაშინდელ კანდიდატ გიორგი მარგველაშვილთან. იგი საკითხით დაინტერესდა და სატელეფონო ზარით გადაგვამისამართა ბატონ გურამ ოდიშარიასთან — აუხსნა, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან კულტურის სამინისტროს ბიუჯეტის ზრდა უნდა მომხდარიყო და გაისად დაფინანსება უნდა მიგვეღო. საქმის კურსში გახლდათ ქალბატონი ელისო ჩაფიძეც. მისი თქმით, იდეა აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო და ამას პარლამენტიც მხარს უჭერდა, თუმცა წერილობითი გარანტიები, რომ 17 მილიონს მომენტალურად მივიღებდით, არავის მოუცია. არჩევნებამდე გიორგი მარგველაშვილის წარმომადგენლები აცხადებდნენ, თითქოს, ქუთაისი რეგიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი უნდა გამხდარიყო.

— ფიქრობთ, ეს განცხადებები მხოლოდ წინასაარჩევნო პიარის ნაწილი იყო?

— ვერ გეტყვით, მიჭირს, კონკრეტულად, ვინმე დავადანაშაულო, ამ თანხას ერთპიროვნულად ვერავინ დაგვპირდებოდა, პოლიტიკური ნება იყო საჭირო. ვხედავდი განწყობას, იყო გზავნილები და ძალიან მოსწონდათ ჩანაფიქრი. როცა გაირკვა, რომ ქვეყანა ამხელა ხარჯების გასაღებად ჯერ მზად არ იყო, პროექტი რამდენიმე ნაწილად დავშალეთ — იმედი გვქონდა, თანხის მესამედს მაინც ავითვისებდით, რათა მუშაობა დაგვეწყო და საგანმანათლებლო პროგრამისთვის მიმართულება მიგვეცა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ თურმე, თეატრის ბიუჯეტისთვის არც ერთი თეთრის შემატება არ იგეგმებოდა. გიორგი მარგველაშვილთან ბოლოს თვენახევრის წინ ვცადე დაკავშირება. მაშინ, პრესსამსახურის უფროსმა შალვა რამიშვილმა მითხრა, პრეზიდენტს ძალიან უმძიმს ამ თემაზე ლაპარაკიო და დაამატა, მსგავსი პროექტი მაინც კულტურის სამინისტროს პრეროგატივაა.

— კულტურის სამინისტრო აცხადებს, რომ თეატრი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და, შესაბამისად, თქვენი მოთხოვნის ადრესატი ოდიშარიას უწყებაა.

— მარგველაშვილთან შეხვედრის შემდეგ, ალბათ მიხვდით, რატომ მივმართე კულტურის სამინისტროს. სამინისტროში ეგონათ, უფრო „ზემოდან“ იქნებოდა მხარდაჭერა, ჩაერთვებოდა კერძო სექტორი... ჩვენც გვეგონა, რადგან ისეთ ძლიერ და სერიოზულ პროექტს, რომელიც ქვეყანაში კონკრეტულ დარგს გადაგირჩენს, უნდა ჩაებღაუჭო. ქუთაისი განადგურებულია, მოწყვეტილია ქვეყანას და, საერთოდ, მგონი, უკვე საქართველოდაც აღარ ითვლება. ნუთუ საგანგაშო არაა, რომ ქალაქს, რომელმაც ერის ინტელიგენცია შექმნა, ფუნქცია დაკარგული აქვს? ქუთაისის მერმა, შოთა მურღულიამ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. საქმიანი და პროფესიონალური საუბარი შედგა. მთხოვა, არ წავიდე, მაგრამ, ეტყობა, პატიოსანი ადამიანია და ტყუილი დაპირებებიც არ მომცა — პირდაპირ მითხრა, რაშიც ვერ დამეხმარება.

— მიმართეთ კერძო სექტორს, მაგალითად ბიძინა ივანიშვილის არასამთავრობო „მოქალაქეს“?

— მოლაპარაკებები იყო მსხვილ საფინანსო კომპანიებთან. ეს ყველაფერი დროში უაზროდ, უშედეგოდ იწელება. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“. ახლა აღარ ვაპირებ, ვინმეს მივმართო, რადგან განცხადება გათავისუფლების შესახებ უკვე ჩაბარებული მაქვს.

— თქვენ გადაწყვეტილებას აპროტესტებს ოპერისა და ბალეტის თეატრის დასი, რომლის წევრებიც დედაქალაქში აქციების გამართვით იმუქრებიან.

— ვხვდებოდი, რომ გული დაწყდებოდათ, მაგრამ ასეთ რეაქციას არ ველოდი. ათი წუთით შევხვდი ამ ადამიანებს, რათა ჩემი გადაწყვეტილება მეცნობებინა. ამ შეხვედრას ისეთი პროტესტი, სითბო და სიყვარული მოყვა, სიმართლე გითხრათ, ძალიან დაბნეული და შოკირებული ვარ. მოცემულ ვითარებაში, სამხატვრო ხელმძღვანელად ვერც ერთ მუსიკალურ დაწესებულებაში ვიმუშავებ. წარმოიდგინეთ, ამჟამად, ორკესტრში მხოლოდ 42 ადამიანია. ეს რაოდენობა ოპერისა და ბალეტის თეატრისთვის ნონსენსია — ვერ უზრუნველყოფ სრულყოფილ სეზონს. არასოდეს მახრჩობდა ხელმძღვანელობის ამბიცია და კიდევ ერთხელ მინდა გავუსვა ხაზი — ეს არ არის კეკლუცური გადაწყვეტილება! ყველაფერს გავაკეთებ, ჩემი წასვლა ასე ემოციურად არ აღიქვან. მე დავპირდი, რომ, როგორც მუსიკოსი, ყოველთვის გვერდით დავუდგები, აუცილებლად ჩამოვალ, როცა დამიძახებენ. სამხატვრო ხელმძღვანელმა მილიონ საქმეს უნდა მიხედოს, ფინანსებზე, პროექტებზე იზრუნოს... გასტროლების გარეშე, გამორიცხულია დარბაზის შევსება, ამას თანხა სჭირდება. ყველა არტისტს, ვინც საზღვარგარეთ მუშაობს და გარკვეული წონა აქვს, გეგმა, დაახლოებით ორწლინახევრით ადრე აქვს გაწერილი. როგორ მოველაპარაკო მას, როცა არ მაქვს გარანტია, რომ შევძლებ ანაზღაურებას? ამ ვითარებაში ყოველივე ამის მართვა არარეალურია. გარდა ამისა, ქუთაისის რამდენიმე წამყვანი მუსიკოსი ხშირად უკრავს ბათუმში, რასაც ვერ ავუკრძალავ, რადგან იქ ფულს უხდიან. ფაქტობრივად, ვინმეს მოწვევაზე კი აღარაა ლაპარაკი, ერთ ადგილასაც ვერ აკავებ ამ ხალხს. საჭიროა საქმის ხარისხიანად კეთება და არა, უბრალოდ, პულტთან თავისმოსაწონებლად დგომა. უღრმეს მადლობას გადავუხდი ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასს. 5 თვის განმავლობაში, არსებული რესურსით, ვახერხებდით და მაინც ვმართავდით კონცერტებს. საოცარი იყო ეს გადავსებული დარბაზები, ამ ადამიანებმა წარმოუდგენელი სითბო და სიყვარული მაჩუქეს.

— დაფინანსების შემთხვევაში, შეცვლით გადაწყვეტილებას?

— საქართველოში ნებისმიერ ადგილას წავალ, სადაც დამიძახებენ და სადაც საქმის კეთების რეალური შესაძლებლობა მექნება. ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული.

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

26 თებერვალს, 72 წლის მხატვარმა, დემურ გრიგოლიამ mymarket.ge-ზე გასაყიდად განათავსა ბიძინა ივანიშვილის 2 პორტრეტი, ორივე ტილოზე, ზეთშია შესრულებული, ერთის საწყისი ფასი 1500, მეორესი კი 2000 დოლარია. რატომ გადაწყვიტა, მაინცდამაინც, ექსპრემიერის დახატვა? ივანიშვილის პორტრეტების ონლაინრეჟიმში გაყიდვა, სარფიანი ბიზნესპროექტის ნაწილია თუ მხატვრის პიარს ემსახურება? „ვერსია“ დემურ გრიგოლიას დაუკავშირდა.

„ბიძინა ივანიშვილის პორტრეტებს იმიტომ ვყიდი, ფული სამკურნალოდ მჭირდება“

როდის დახატა ექსპრემიერი და გაიყიდება თუ არა ქართველი მილიარდერის პორტრეტი 2000 დოლარად

— სამხატვრო აკადემია 1969 წელს, უკრაინაში, ხარკოვში დავამთავრე. დღეს საქართველოში, მხატვრების უმრავლესობა ეტიუდებს ქმნის, მე პორტრეტების ხატვა უფრო მიზიდავს, მაგრამ, სამწუხაროდ, დაკვეთა არ არის.

— ზოგადად, თქვენი ტილოები რა ფასად იყიდება?

— თავის დროზე, ჩემი ნამუშევრები 500-600 დოლარი ღირდა. ადრე სხვა ვითარება იყო, კომუნისტების წასვლის მერე კი ყველაფერი შეიცვალა... დიდი ხანია აღარაფერი გამიყიდია.

— ბიძინა ივანიშვილის დახატვა როდის და რატომ გადაწყვიტეთ?

— ამ ადამიანის მიმართ ყოველთვის სიმპათიით ვიყავი განწყობილი. როცა დავხატე, მისი მარტო სახელი და გვარი ვიცოდი. როგორც კი პირველი ფოტო დაიბეჭდა, მაშინვე დავხატე — ეს იყო 1992 წლის დასაწყისი. მანამდე, ტელევიზიითაც კი არ მენახა.

— 1992 წელს როგორ დახატეთ, პორტრეტზე ბიძინა ივანიშვილი ჭაღარაა, ხელში კი, „ქართული ოცნების“ ბროშურა უჭირავს.

— პირვანდელ ნახატში ხელში ეჭირა ჩვეულებრივი წიგნი, რომლის გარეკანიც ახლა შევცვალე... მოკლედ, „ქართული ოცნება“ ახლახან ჩავხატე. რაც შეეხება ასაკს, ეს უკვე ჩემი მინუსია, ვერ დავხატე კარგად. ისე, არ ვიცი, ეკრანზე როგორ ჩანს, მაგრამ სურათში არ არის ძალიან ჭაღარა.

— ეს ფოტოები სახლში გეკიდათ?

— არა, სახელოსნოში მეწყო ამდენი წელი.

— დღეს მათი გაყიდვა რატომ გადაწყვიტეთ, სახელის მოხვეჭის მიზნით თუ ეს გარკვეული ბიზნესგათვლაა?

— სახელის მოხვეჭის გამო არ ვყიდი პორტრეტებს, ეს სურათი გამოფენაზეც არასოდეს გამიტანია და მედიისთვისაც არასოდეს მიმიმართავს. პირადად არ ვიცნობდი ბატონ ბიძინას, თორემ აუცილებლად ვაჩუქებდი. უბრალოდ, ახლა გამოუვალ მდგომარეობაში ვარ, სიმსივნე მაქვს და თანხა სამკურნალოდ მჭირდება.

— პორტრეტების რეალური მყიდველი უკვე დაგიკავშირდათ?

— სიმართლე გითხრათ, სახელოსნოში ჩემ საქმეებს უკვე ვეღარ ვაკეთებ — იმდენი ადამიანი რეკავს, ზარებს ვერ აუდივარ. პორტრეტებით აშკარად ბევრი ადამიანი დაინტერესდა, თუმცა მათ შორის რეალური მყიდველი არის თუ არა, ვერ გეტყვით — ნახატის სანახავად, ჯერჯერობით, არავინ მოსულა.

ბედნიერებისთვის კაცი საჭირო არ არის!

აშშ-ს მცხოვრებმა, 36 წლის ნადინ შვაიგერტმა მდიდრული ქორწილი გადაიხადა — ჩაიცვა საპატარძლო კაბა, უზარმაზარი სადღესასწაულო ტორტი შეუკვეთა და ცერემონიაზე 45 სტუმარიც დაპატიჟა... ერთადერთი, რაც ქორწილს აკლდა, სიძე იყო, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ასეც იყო ჩაფიქრებული: ნადინი დემონსტრაციულად მისთხოვდა საკუთარ თავს, რათა დაემტკიცებინა, რომ ბედნიერებისთვის მამაკაცი საერთოდ არ სჭირდება. პატარძალს, რომელიც ჩრდილოდაკოტაში ცხოვრობს, ჰყავს სამი შვილი და ოდესღაც, ქმარიც ჰყავდა, თუმცა განქორწინების შემდეგ, იგი ამაოდ ელოდა მამაკაცს, რომელიც სიცოცხლის ხალისს დაუბრუნებდა. დროთა განმავლობაში ნადინს ფსიქოლოგიური პრობლემებიც შეექმნა და სპეციალური თერაპიის კურსიც დასჭირდა. ერთხელ კი ნაცნობმა ხუმრობით ურჩია, თავი დაენებებინა იდეალური კაცის ლოდინისთვის და საკუთარ თავზე გათხოვილიყო. იდეამ ქალი იმდენად გაიტაცა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ქორწილი გადაიხადა. სხვათა შორის, მსგავსი მონო-ქორწინება აშშ-ში იშვიათობა არ არის, მიზანი კი ადამიანების დახმარებაა — მათ უნდა გააცნობიერონ, რომ თავად არიან საკუთარი ბედნიერების შემქმნელები და ამაში სხვა პიროვნება არ სჭირდებათ.

ყველაზე უჩვეულო სასტუმროები

ფუფუნება და ეგზოტიკა — ეს ძირითადი მახასიათებლებია მსოფლიოში ყველაზე უჩვეულო სასტუმროებისა, რომელთა წლიური რეიტინგი გამოცემამ Lonely Planet გამოაქვეყნა. სიაში პირველ ადგილზე ინდოეთის სასტუმრო კომპლექსი გავიდა — „მიხერ გარხი“ ქვიშაზეა განთავსებული, აქ ლუქსის კლასის 9 აპარტამენტია, თითოეული საკუთარი აუზითა და ბუხრით. მეორე ადგილი ბოსტსვანა ოტელმა დაიკავა — ქოხებისგან შემდგარი კომპლექსი, მთლიანად თივითა და თიხითაა აგებული, ქოხების ირგვლივ კი 4 ათას წლოვანი ხეებია და მარილიანი წყაროები. რეიტინგის მესამე საფეხურზე იტალიაში, კერძოდ ბოლონიაში მდებარე სასტუმროა — შუასაუკუნეების კოშკის მსგავსი შენობა, სადაც ერთ დროს, ციხე იყო. რეიტინგის ტოპ-ათეულში შევიდა, ასევე სასტუმრო Qasr al Sarab არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, რომელიც უდაბნოშია განთავსებული, ხოლო მისი სავიზიტო ბარათი სიმდიდრე და ფუფუნებაა. შემდეგ საფეხურზე ტასმანიაზე მდებარე სასტუმრო Cradle Mountain Lodge-ია და, როგორც რეიტინგის ავტორები აცხადებენ, აქ სიმდიდრე ველურ სამყაროსთანაა შერწყმული. სიაში შედის, აგრეთვე, ხეზე მოთავსებული პატარა სახლებისგან შემდგარი სასტუმრო ვანკუვერში, მდინარე ჰუძონზე მდებარე ოტელი ნიუ-იორკში და თურქულ კაბადოკიაში, კლდეში გამოკვეთილი ოტელი.

ფეხმძიმობის დადებით ტესტებს ყიდიან



მშვენიერი სქესის ჩეხმა წარმომადგენლებმა, რომლებიც რთულ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ფულის შოვნის მეტად საეჭვო გზას მიაგნეს: ამერიკელი და პოლონელი ქალების მსგავსად, ინტერნეტის მეშვეობით, ფეხმძიმობის დადებით ტესტებს ყიდიან. ასეთ ტესტს ზოგიერთი მანდილოსანი საკუთარი პარტნიორის ჭეშმარიტი გრძნობების შესამოწმებლად ან შანტაჟისთვის იყენებს. აღსანიშნავია, რომ პოლონეთში თაღლითობის ასეთი სახე სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. თუმცა, ჩეხეთში „ყალბი ორსულობის“ გამო, ჯერჯერობით, პასუხს არავის აგებინებენ და უფულოდ დარჩენილი ზოგიერთი ქალი ამას სათავისოდ იყენებს.

ჰალსტუხი-ქამელეონი შექმნეს

ხორვატმა გამომგონებელმა ფუტურისტული ჰალსტუხი შექმნა, რომელიც იდეალურად წავა ნებისმიერ კოსტიუმზე და ნებისმიერი ღონისძიებისთვის გამოდგება. საქმე ისაა, რომ აქსესუარს ფერის შეცვლა შეუძლია. თუ თავს ჰალსტუხის არჩევაში ექსპერტად მიიჩნევთ ან პირიქით, უამრავ დროს ხარჯავთ, რომ ის იდეალურად შეუხამოთ პერანგს, მაშინ დიზაინერის გამოგონება, მამაკაცების გაჯეტი iTie აუცილებლად მოგეწონებათ. ავტორის განცხადებით, მისი ქმნილება მთლიანად ინტერაქტიულია და შეუძლია ფერი თუ ნახატიც შეცვალოს მხოლოდ ღილაკზე თითის დაჭერით, რაც იმას ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში ძლიერი სქესის წარმომადგენლებს მხოლოდ ჰალსტუხი-ქამელეონი დასჭირდებათ. გარდა ამისა, აქსესუარი აღჭურვილია მოქნილი დისპლეით. სულ მალე კი ფუტურისტული ჰალსტუხის მფლობელები შეძლებენ სპეციალური დამატების გადმოტვირთვას, რაც ქსოვილის სხვადასხვა ფაქტურასაც წარმოადგენს. დიზაინერი ამტკიცებს, რომ კამერებით აღჭურვილ მის ქმნილებას პრაქტიკული გამოყენებაც ექნება: გაჯეტის მფლობელი შეძლებს განახორციელოს სატელეფონო საუბრები, გაგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ილაპარაკოს „სკაიპით“.

მონევას თმის ფერი განსაზღვრავს?

როგორც ჩანს, მუქი ფერის თმის მქონე ადამიანები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი თამბაქოს მოხმარებისკენ, ვიდრე დანარჩენები. ასეთი დასკვნები პენსილვანიის უნივერსიტეტის სწავლულებმა გააკეტეს. მათი თქმით, მუქ პიგმენტაციაზე პასუხსმგებელი ნივთიერება ასევე აგებს პასუხს ნიკოტინისკენ სწრაფვაზე. ასე რომ, მკვლევართა დასკვნებით, შავთმიანები უფრო ადვილად ხდებიან მწეველები, ვიდრე ღია ფერის თმის მქონე ადამიანები. შესაბამისად, ის დაავადებები, რაც მოწევით არის გამოწვეული, ხალხის ამ კატეგორიაში უფრო ხშირად გვხვდება და მძიმედ მიმდინარეობს. მიზეზი კი სწორედ პიგმენტი მელანინია — ის აძლევს თმას მუქ შეფერილობას. ორგანიზმში მელანინის მაღალი დონე აგებს პასუხს ნიკოტინურ ადიქციაზე. რანაირად უკავშირდება მელანინი ნიკოტინს, ეს ჯერჯერობით გაუკვეველია. ყოველ შემთხვევაში, სწავლულები ამტკიცებენ, რომ ქერა ადამიანი სიგარეტზე დამოკიდებული რომ გახსდეს დიდხანს და ხშირად უნდა ეწეოდეს, შავთმიანს კი, უხეშად რომ ვთქვათ, „ერთი-ორი გაბოლებაც“ ჰყოფნის

ცომეული — მუდმივი დაღლილობის მიზეზი

სპეციალისტების განცხადებით, პურისა და ცომეულის გადაჭარბებული მოხმარება დაღლილობას იწვევს, მიზეზი კი ფქვილის ნაწარმის შემადგენლობაა. ცნობილი ამერიკელი კარდიოლოგის, უილიამ დევისის თქმით, დღეს პურპროდუქტები ადამიანის რაციონის 30-35%-ს შეადგენს, რაც ჯანმრთელობისთვის მავნეა, რადგან მარცვლეულის დღევანდელი სახეობები გენმოდიფიცირებულ ცილა გლიადინს შეიცავს, რომელიც დაღლილობის შეგრძნებას იწვევს. თეთრი პურის გადაჭარბებული მოხმარება ორგანიზმში უჯრედისის დეფიციტს იწვევს, ეს კი ტვინის ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. გარდა ამისა, ცილა გლიადინის მოქმედება ოპიატების ეფექტს ჰგავს — ეს პროტეინი ტვინის რეცეპტორებს ააქტიურებს, რომელიც მადაზეა პასუხისმგებელი და ამიტომ ადამიანი უფრო მეტი კალორიის მიღებას იწყებს, რაც წონაში მატებას იწვევს.

მხატვარმა ადამი „ეამოაცხო“

მართალია, ტკბილეულის დანიშნულება მისი ჭამაა, მაგრამ შეიძლება ხელოვნების სფეროშიც გამოვიყენოთ, როგორც ამას მხატვარი მიშელ ვიბოვო აკეთებს. ცოტა ხნის წინ მან ლონდონში ტკბილეულისგან მიქელანჯელოს ფერწერის — „ადამის დაბადების“ ზუსტი ასლი შექმნა, რომელიც სიქსტის კაპელას ჭერზეა, თანაც, ნატურალურ ზომებში, 18,9X9,2 მეტრზე. მის „შემადგენლობაშია“ 10 ათასი ზეფირი და ნამცხვრის უამრავი რაოდენობა, გემრიელი შედევრის შექმნაზე კი მხატვარმა 168 საათი დახარჯა და ნამუშევარი მიქელანჯელოს გარდაცვალების 450 წლისთავს მიუძღვნა. „ადამის“ შექმნა მიშელისთვის ადვილი არ იყო. სპეციალური კომპიუტერული პროგრამები გამოიყენა და თავად ფერწერაც დაწვრილებით შეისწავლა. დიდი მონდომება იყო საჭირო, რომ არა მხოლოდ ორიგინალის მსგავსი ნამუშევარი გამოსულიყო, არამედ ფერთა გამაც სწორად შეერჩია.

სუდოკუმანია

ადვილი

	3	7	6					
				8		5		3
9			1	4				
	1	2						
8		6				3		9
						8	2	
				3	8			7
6		4		5				
					9	4	8	

სტანდარტი

2			4		3	7	5	
6					1	4		
		4						
	4		3		2			
5	9						2	7
			9		6		8	
						6		
		1	2					3
	6	3	7		9			2

რთული

9		1					4	3
				2			9	
			4			2	1	8
5			8				7	6
			2		5			
3	9				4			2
2	4	9			6			
	8			4				
1	3					8		4

ექსპერტი

7			5				6	
		9		3				8
8			1			7		2
				7		6		5
	3						8	
9		6		2				
3		7			8			6
2				6		1		
	6				7			9

ოთხი ნიშანი, რომელიც დიაბეტზე მიგანიშნებთ

მეცნიერებმა ხუთი ძირითადი ნიშანი დაასახელეს, რომელიც წინ უძღვის დიაბეტის განვითარებას. იმის გამო, რომ პრედიაბეტური მდგომარეობა ნელ-ნელა ვითარდება, ხშირად გამოკვეთილი სიმპტომები არ ახასიათებს. თუმცა, შეიძლება შეინიშნოს გარკვეული ნიშნები ინსულინის მიმართ მზარდი რეზისტენტულობისა — ამ დროს ჯერ კიდევ შეიძლება ზომების მიღება, რათა დაავადება არ განვითარდეს.

ნიშანი 1. მზად ხართ დაიძინოთ უხვი ტრაპეზის შემდეგ? თუ ეს ხშირად ხდება, თქვენი ორგანიზმი, შესაძლოა, შეტყობინებას გიგზავნით, რომ რაციონში ძალიან ბევრი ნახშირწყლებია, სისხლი მას გლუკოზის სახით შეიწოვს, ამ დროს გლუკოზა გროვდება და საჭირო უჯრედები მას ვერ ითვისებს, შედეგად ადამიანს ეძინება და ზოგჯერ ფიქრიც უჭირს.

ნიშანი 2. „ნახშირწყლების შიმშილი“ — ამ დროს ყველაზე სასურველი პროდუქტი შოკოლადი, ჩიფსი და კარტოფილი ფრია, რაც ბევრ შაქარს, მარილსა და ცხიმს შეიცავს, თუმცა სჯობს, თავი შევიკავოთ მავნე საკვების მიღებისგან და ის ნიგვზით, ბანანით ან სტაფილოთი ჩავანაცვლოთ.

ნიშანი 3. ზედმეტი წონა — დიაბეტისწინა პერიოდს ჭარბი წონა ახასიათებს. ადამიანი კალორიების შემცირებას ცდილობს, მაგრამ შედეგს ვერ იღებს, რადგან უჯრედები „შიმშილობენ“ და „საწვავს“ (გლუკოზის სახით) საჭიროებენ.

ნიშანი 4. სისხლის მაღალი წნევა — საგანგაშოა, როცა ის ზედმეტ წონას (განსაკუთრებით მუცელზე), დაღლილობასა და სხვა უარყოფით მაჩვენებლებთან ერთად ჩნდება. სისხლი წებოვანი ხდება, იზრდება მისი შედედების უნარი.

რატომ იწყებენ გვიან ლაპარაკს ბიჭები

ცნობილია, რომ ბიჭებში მეტყველება უფრო გვიან ფორმირდება, ვიდრე მათ თანატოლ გოგონებში და, მთლიანობაში, ფსიქიკის განვითარება ბიჭებში მცირე ჩამორჩენით მიმდინარეობს, რაც ნორმად ითვლება. ამ საკითხით დაინტერესდნენ ნორვეგიელი სწავლულები, რომლებმაც ჩატარებული კვლევების შედეგად დაასკვნეს, რომ ჰორმონი ტესტოსტერონი გავლენას ახდენს მეტყველებაზე. კვლევებში ხუთ წლამდე ასაკის 10 000 ბავშვი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ ტესტოსტერონის მაღალი დონის არსებობისას ტვინის განვითარება ფერხდებოდა და ხშირად, აუტიზმის ერთ-ერთი მიზეზიც იყო. ბოლო წლებში ეს პათოლოგია საკმაოდ გახშირდა და კვლევებისას ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ მეტყველების პრობლემების სიხშირე, 5 წლამდე ასაკის ბიჭებში ორჯერ მაღალია, ვიდრე თანატოლ გოგონებში.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

7	1	8	6	3	5	4	2	9
9	6	2	1	8	4	7	3	5
5	4	3	2	9	7	6	1	8
2	5	1	4	7	9	3	8	6
6	3	7	8	5	2	9	4	1
8	9	4	3	6	1	2	5	7
1	7	9	5	4	3	8	6	2
4	2	6	9	1	8	5	7	3
3	8	5	7	2	6	1	9	4

სტანდარტი

4	8	5	3	7	2	6	1	9
3	1	2	6	5	9	8	4	7
9	7	6	4	1	8	5	3	2
6	3	1	8	4	7	2	9	5
2	9	7	5	6	3	4	8	1
8	5	4	2	9	1	3	7	6
5	6	9	1	3	4	7	2	8
1	4	8	7	2	5	9	6	3
7	2	3	9	8	6	1	5	4

რთული

7	3	2	1	9	6	8	5	4
5	1	9	4	8	7	6	2	3
8	6	4	5	3	2	1	9	7
6	7	1	3	5	9	4	8	2
4	2	8	7	6	1	5	3	9
9	5	3	8	2	4	7	6	1
3	4	6	9	1	8	2	7	5
2	9	7	6	4	5	3	1	8
1	8	5	2	7	3	9	4	6

ექსპერტი

2	7	6	5	3	8	1	4	9
5	4	3	2	1	9	7	8	6
1	9	8	7	4	6	2	3	5
3	2	9	1	8	5	6	7	4
7	1	4	6	2	3	9	5	8
8	6	5	4	9	7	3	1	2
9	3	2	8	5	1	4	6	7
6	8	1	9	7	4	5	2	3
4	5	7	3	6	2	8	9	1

მე-12 გვერდი: 1. სპერმატოზოიდი; 2. დეკეული; 3. ტერფი; 4. დეკარტი; 5. პლედი; 6. ტრანზისტორი; 7. აზნაური; 8. ოლიგარქი; 9. ორმო; 10. დეტალი; 11. ოფსაიდი; 12. სკა; 13. იოანე; 14. იბიცა; 15. ნეისმიტი; 16. ბიოგრაფია; 17. ესე; 18. ომიკრონი; 19. ბალუ; 20. ოლე; 21. რიფსიმე; 22. ატა; 23. ბიორკი; 24. ოქმი; 25. აკიდო; 26. იტი; 27. უდე; 28. მცხეთა; 29. კაირო; 30. ივო; 31. ცინი; 32. ტაპირი; 33. ზვიგენი; 34. იარვეტი; 35. ემულსია; 36. ირაო; 37. ციგა; 38. კორტეჟი; 39. ლოსი; 40. სალვე; 41. ალსუ; 42. იონა; 43. სურგულაძე; 44. სია; 45. ელი; 46. თაფლი; 47. ნოა; 48. ოინი; 49. პოოპო; 50. ბალი; 51. რეიდი; 52. „პეჟო“; 53. ოდენსე; 54. ილტო; 55. სამოა; 56. დია; 57. ბის; 58. იაშინი; 59. ბობ; 60. მე; 61. მოა; 62. იასი; 63. რიმინი.

პლანეტის ყველაზე პოპულარული დიეტა

ეს რეიტინგი უდიდესმა საძიებო ინტერნეტ-სისტემამ — „გუგლმა“ შეადგინა ყველაზე ობიექტური კრიტერიუმის მიხედვით — ქსელში ძიების სტატისტიკით. შედეგები კი, შეიძლება ითქვას, მოულოდნელი აღმოჩნდა.

უკან, გამოქვაბულში — შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ 2013 წელს ყველაზე ხშირად ადამიანები ინტერნეტში გამოქვაბულის ადამიანის დიეტას ეძებდნენ. მისი მიმდევრები თავს „პალეომოძრაობის“ წევრებად თვლიან. მათი ცხოვრების წესი პირველყოფილი მონადირეებისას ჰგავს, რადგან მიაჩნიათ, რომ მას შემდეგ ჩვენი გენი არ შეცვლილა, ამიტომ ისე უნდა იკვებო, როგორც ქვის ხანაში. ყურადღება ეთმობა ხორცს, თევზს, ბოსტნეულს, მარცვლეულს,არავითარი შაქარი და სხვა რაფინირებული პროდუქტი, რაც გაჯერებულია კონსერვანტებითა და საკვები დანამატებით. ხორბლის პურიც კი აკრძალულია. სპორტდარბაზებს კი XXI საუკუნის „გამოქვაბულის ფანატიკოსები“ ბუნებაში ვარჯიშს ამჯობინებენ. ფეხშიშველა დარბიან, ხეებზე ძვრებიან... პალეოდიეტის მიმდევრები არიან რობერტ დე ნირო, ჰილარი სუონკი, მაილი საირუსი და ჯესიკა ბილი.

წვენის დიეტა — ამ დროს, 3-7 დღე მხოლოდ ახალგამოწურულ ნატურალურ წვენს მიირთმევენ. ეს დიეტა სტივენ ბლაუერმა შეიმუშავა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეს ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ დიდი რაოდენობით სასარგებლო მიკროელ- ემენტების ათვისებას და გამოაქვს შლაკები. დიეტის დიდი თაყვანისმცემელია სალმა ჰაიეკი.

ხმელთაშუა ზღვის დიეტა — ის გაჯერებულია თევზით, ზღვის პროდუქტით, ბოსტნეულით, ხილით, ზეითუნის ზეთით, ნიგვზით. ზომიერად მიღებული წითელი ღვინით.

ლიმნის დიეტა (Master Cleanse) — 10 დღე არავითარი საკვები, მხოლოდ ლიტრობით უნდა სვათ წყლის, ლიმნის წვენის, ნეკერჩხლის სიროპისა და კაიენის წიწაკის ნარევი განსაზღვრული პროპორციებით. დიეტა გასული საუკუნის 50-იან წლებში ექიმმა სტენლი ბეროუზმა შექმნა ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ. XXI საუკუნეში კი მან დიდი პოპულარობა მოიპოვა ჰოლივუდის ვარსკვლავებში, მას შემდეგ, რაც მომღერალმა ბიონსემ 10 დღეში 9 კილოგრამი დაიკლო ფილმ „ოცნების გოგონას“ გადაღებისთვის. ნაომი კემპბელი წელიწადში სამჯერ „ისუფთავებს“ ორგანიზმს ამ დიეტით.

კეტოგენური დიეტა — მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ რაციონში ცხიმები ნახშირწყლებით იცვლება. თავის დროზე, ის ეპილეფსიით დაავადებული ბავშვებისთვის შექმნეს, შეტევის რაოდენობა რომ შეემცირებინათ. ის ჰგავს კრემლის, ატკინსის დიეტას, მაგრამ უფრო მკაცრად ზღუდავს ნახშირწყლებს.

ოკინავას კუნძულის დიეტა — ამ იაპონური კუნძულის მაცხოვრებლები შესანიშნავი ჯანმრთელობითა და დღეგრძელობით გამოირჩევიან. მათი რაციონი, ძირითადად, ყვითელი და ნარინჯისფერი ხილისა და ბოსტნეულისგან, თხის რძის, მარცვლეულისა და ზღვის პროდუქტისგან შედგება.

ყველაფრისმჭამელი დიეტა (Omnivore Diet) — შეგიძლიათ მიირთვათ ყველაფერი, მხოლოდ ზომიერი პროპორციებით.

ხილის დიეტა — ძირითადად, რაციონს ხილი, მარცვლეული და კაკალი წარმოადგენს, მთლიანად გამორიცხულია ცხოველური წარმოშობის პროდუქტი.

პესკეტარიანული დიეტა — ის მოიცავს ვეგეტარიანელობას და ზღვის პროდუქტით კვებას. ამ დიეტის გახდომის მსურველები არ მიირთმევენ ხორცეულს, თუმცა კვერცხი და რძის პროდუქტი შედის მენიუში.

ფლექსიტარიანული დიეტა — ვეგეტარიანელობაა ხორცის ძალიან იშვიათად მიღებით. ტერმინი ცნობილმა დიეტოლოგმა დაუნ ჯექსონ ბლატნერმა შემოიღო — ეს ვეგეტარიანული გზაა წონაში დასაკლებად, ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, დაავადებების თავიდან ასაცილებლად და სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის. ასეთი დიეტა ადვილიცაა და სასიამოვნოც.

„გუგლის“ რეიტინგმა სპეციალისტები გააკვირვა, რადგან ზოგიერთი დიეტის ეფექტურობა და უსაფრთხოება დადასტურებული არ არის.

1. კეთროვანთა სამკურნ. დაწესებულება
2. კომედ. ხასიათის მუსიკალური ფილმი
3. ორი სხვადასხვა ასოს გრაფიკ. შეერთება
4. გეომეტრიული სხეული
5. ხევის-ბერი გოჩას ვაჟი
6. სახოტბო შეძახილი იუდაიზმში
7. ერთქმრიანობა
8. დასვენების პერიოდი შაბათიდან ორშაბათამდე
9. იგივეა, რაც მადა
10. ოთხადგილიანი კარეტა გადასასურავით
11. ნერონის დედა
12. რეზინ. შენარევ. ვულკანიზ. მიღებ. მასალა
13. კლეოპატრას სამეფო დინასტია
14. D ვიტ. ნაკლებობით გამოწ. დაავ. ბავშვებში
15. თამბაქოს შხამი
16. ალ. ტოლსტოის ფანტასტ. რომანი
17. კორდელიას მამა
18. „ადიდასის“ „მეტოქე“ ფირმა
19. საღებავები, რომელშიც შერეულია კვერცხის გული
20. წყალბურთის სახელწოდება ევროპაში
21. აკრძალვა პირველყოფილ ხალხებში
22. ძვირფასი მეტალი
23. კანი ფრჩხილის ირგვლივ
24. მუსიკოსი ... მაკარტნი
25. ქართული კონიაკის მარკა
26. გოლიათი ქარ. ხალხურ ზღაპრებში
27. ნაპოლეონის კარის მხატვარი
28. რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე
29. ძვ. წონის ერთ. საქართველოში
30. ხელოვ. ღმერთი ბერძ. მითოლოგ.
31. სპილ-ბერგის უცხოპლანეტელი
32. დიდი ციმბი-რული ირემი
33. იგივეა, რაც ამინდი
34. შავი ზღვის ზვიგენი
35. კატის ხმიანობა
36. ბასკური სეპარატისტული ორგანიზაცია
37. დოსტოევსკის რომანი
38. ეპისკოპოსთა თავსარქმელი
39. ლენინის ქვრივი იოკო ...
40. ბამბუკის დათვი
41. გაზაფხულის ყვავილი
42. კიდევ, ხელახლა
43. შვეიცარიელი მხატვარი პაულ ...
44. ცის ღმერთი შუმერულ მითოლოგ.
45. ჯუზეპე ვერდის ოპერა
46. პლანეტა მერკური ძველ ქართულში
47. წილი საერთო საქმეში
48. მაღალი ხარისხის ყავა
49. სინათლის სიკაშკაშის საერთა-შორისო ერთეული
50. სატელეფონო „სიტყვა“
51. მღვდლის სამოსელის ნაწილი
52. საოჯახო ელექტროხელსაწყო
53. ინგლ. ლუდი
54. მომღერ. კორტნი...
55. საფოსტო გზავნილი
56. მსახიობი ... ტაილერი
57. გერდას მეგობარი ბიჭუნა
58. ეკვადორის დედაქალაქი
59. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
60. მიანმარის ფულის ერთეული, იგივე კიატი
61. ქვეყანა ჩრდილოეთ აფრიკაში
62. ინგ. ექსფეხბურთ. ... შირერი
63. კანადის დედაქალაქი
64. ზოროასტრიზმის წმინდა წიგნი

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

ეპა სეხნიაფგილს

გილოცავთ პატარა ელისაბედის დაბადებას. ღმერთმა ჯანმრთელი, ბედნიერი და ნარმატებული ქალი გაგიზარდოს. უფალი ფარავდეს შენ ლამაზ ოჯახს!

„ვერსიელები“

შენდამა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.